№ 150

ოთხშაბათი, 24 აგვისტო

1877—1905

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დაბეჭდვი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 150

ოთხშაბათი, 24 აგვისტო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

„ქუთაისის მიხეილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის პირველ ენკენისთვეს ქ. ტფილისს, ოლგას ქუჩაზე, კნ. დიასამიძის სახლში № 4,, ბანკის დირექტორის კანცელარიაში მოხდება, ბანკის წესდების § 17 ძალით, სჯარო ვაჭრობა ამ ბანკში ტფილისის გუბერნიის სოფლის და ქალაქის დაგირავებულ მამულებისა, სავალდებულო გადასახადების შემოუტანლობისა გამო. მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა იქმნება 16 ენკენისთვეს.

გასასყიდ მამულების სიები, მათი სივრცე და ვალების რაოდენობა შეიძლება ყოველდღე ინახულონ ზემოხსენებულ დირექტორის კანცელარიაში. (3—2).

ახალი წიგნი —

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.

იყიდება შემდეგ ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში" და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძესთან.

ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა", ვ. ბექანეიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.

ბათუმი: „ამხ. გეორგია".

ფოთი: ლ. ახობაძე.

ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე

ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი

გორი: მიხეილ არჩვაძე.

ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.

ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ე. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ჯ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აგიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მშობელთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე ვ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე ხფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ქ. ი. ჯაფარიძე

გადავიდა ყორღანოვის ქუჩაზე, თავ. არღუთინსკის სახლში, № 26.

გარეგნობა მომატყუებელია.

ამ ათიოდე წლის წინად ჩვენში იყვნენ ისეთი მწერლები, რომელნიც ვერ ხედავდნენ ჩვენში მოქალაქობრივ ცხოვრების დასაწყისს, დაჟინებით უარჰყოფდნენ საქართველოში სამრეწველო მუშა-ხალხის არსებობას და ამიტომ სასაცილოდ იღებდნენ ყველას, ვინც იმ დროს ,,ქართველ მუშის'' კლასობრივ ინტერესებზე ლაპარაკობდა და, როგორც ერთი მწერალი სწერდა მაშინ, ქართველ პროლეტარიატის გაჭირვებულ მდგომარეობის გამო ,,ცრემლებს ღვრიდა''. ისინი უარჰყოფდნენ როგორც შინაურ, ისე უცხო კაპიტალის არსებობას ჩვენში და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ნატურალურ მეურნეობის საფუძველზე დამყარებულად ჰქონდათ წარმოდგენილი.

მაგრამ როცა ეს მწერლები ასეთ ,,უარყოფას'' და ეჭვში იყვნენ, ცხოვრება წინ მიდიოდა და ადიდებდა იმ ელემენტს, რომელსაც, სიმცირის გამო, მაშინდელი კალმოსნები ვერ ამჩნევდნენ. ეს ელემენტი თანდათან იზრდებოდა, ქალაქებში წრეებს ადგენდა, წიგნებს კითხულობდა, ევროპის მუშა-ხალხის ისტორიიდან ზოგიერთ ცნობებს ითვისებდა და ამგვარად ამზადებდა იმ კულტურულ თესლს, რომელიც გადაიქცა შემდეგში დიდ ძალად ქართველ ხალხის საზოგადოებრივ მოძრაობისა. ქართველი სამრეწველო მუშა არ არის ისე სოფელს მოწყვეტილი, როგორც ევროპიელი მუშა: იგი ნახევარჯერ სოფელში ცხოვრობდა და ამის გამო იმ აზრებს, რომლებსაც ქალაქში იძენდა, სოფლის ხალხშიაც ჰფენდა და ავრცელებდა. თვით სოფელშიაც გაჭირვება დიდი იყო და არის დღესაც და ამიტომ ყოველგვარ რადიკალ-დემოკრატიულ აზრებს სოფლებში ნიადაგი ჰქონდა და აქვს ახლაც. მცირე ცნობიერების შეტანამაც სოფელი გამოაღვიძა და აამოძრავა...

იმ დროსაც, როცა ჩვენში არც ერთი გამორკვეული და, ყოველ შემთხვევაში, მტკიცე პროგრამის საფუძველზე აგებული პარტია არ არსებობდა და, მაშასადამე, ხალხშიაც ამ პროგრამის თანახმად არ მოქმედობდა, მოძრაობის ნაპერწკალი მაინც ღვიოდა და თანდათან დიდ ცეცხლის სახეს იღებდა. შემდეგში, როცა მუშათა რიცხვმა შესამჩნევად იმატა და მისი ეკონომიური მნიშვნელობა გაიაზრადა ის საქმე, რომელსაც წინად თითეული მუშა შეგნებით, თუ შეუგნებლად ეწეოდა სოფელში, ს.-დემოკრატთა პარტიამ ჩაიგდო ხელში დ განსაზღვრულ საპარტიო საქმედ გაიხადა. მას მიზნად ჰქონდა, ხალხის რადიკალ-ოპოზიციონური ხასიათის მოძრაობა თავის პროგრამის ხასიათისად გაეხადა. ამისთვის საჭირო იყო, ან პარტიის პროგრამა შესთანხმებოდა სოფლის ხალხის საჭიროებას, ან ხალხის-მიერ გამოთქმა თავის საჭიროებისა შესთანხმებოდა პარტიის პროგრამას. პარტიამ, რასაკვირველია, მეორე გზა აირჩია და შეუდგა ხალხის აზროვნების იმ ყალიბზე მომზადებას, რომ თვით ხალხი შეჰგუებოდა პროგრამას...

რა თქმა უნდა, ვერც ერთი საზოგადოებრივი კლასი ვერ გახდება მომხრე ისეთ საპატიო პროგრამისა, რომელშიაც მისი სოციალ-ეკონომიური ინტერესები გამოხატული არაა, და ამიტომ ქართველი წვრილი გლეხები, რომელთაც ს.-დემოკრატიული პროგრამა მფარველობასა და ქომაგობას ჰპირდება როგორც ადამიანებსა და მოქალაქეებს, და არა როგორც მწარმოებლებს, თანამედროვე ეკონომიურ წესწყობილებაში, უეჭველია, თავის ეკონომიურ ინტერესების გამო განზე უნდა გაუდგნენ ხსენებულ პარტიას. გლეხი ვერ გახდება მომხრე იმ პარტიისა, რომელიც მას ბედნიერებას ჰპირდება შორეულ მერმისში, ხოლო აწმყოში შეუძლებლად სთვლის მის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამიტომ უარჰყოფს ყოველგვარ ამის შესაფერ რეფორმებს.

მაგრამ ასეთი გამოთიშვა და პარტიისთვის ზურგის შექცევა გლეხობის მხრივ აქამდის შეუძლებელი იყო, რადგან დღემდის მხოლოდ ხსენებულ პროგრამის მქონე პარტია მოქმედებდა მასში და გლეხს არ ჰქონდა შემთხვევა და არც საშუალება, პროგრამის მუხლები სავსებით აეწონ-დაეწონა და თავის ეკონომიურ საჭიროებისათვის დაეპირდაპირებინა. გლეხობა მიემხრო მას, საცა კი მიემხრო, არა როგორც ისეთ პარტიას, რომელსაც წვრილ მეურნეთა პროლეტარიზაცია მიაჩნია ცხოვნების აუცილებელ პირობად, არამედ—როგორც ისეთ ჯგუფს, რომლის ქადაგებაშიაც გამოიხატება რადიკალური ოპოზიციონიზმი,—აწინდელ საერთო.. სოციალ პოლიტიკურ წესწყობილების უარმყოფი და დამგმობი. ეს არის მთავარი მხარე, რომელიც მიმზიდველად მიაჩნდა გლეხობას რომელიც აუტანელ გაჭირვებას განიცდის ტაშს დაუკრავს ყველას, ვინც მას აწინდელ რეჟიმის უვარგისობას აუხსნის და განუმარტავს.

ჩვენი „მესამე დასელები", რასაკვირველია, გარემოებას ასე არ უცქერიან და ტრაბახით ყურებს გვჭედენ: „ხალხი ჩვენს მხარეზე არისო". ეს საკითხი რომ მარტო რამდენსამე „იდეოლოგს" ეხებოდეს „მოგზაურისებურ" ბანაკიდან, ჩვენ, რასაკვირველია, ამ წერილის წერას არ დავიწყებდით და მათ სასიამოვნო რწმენას არ შევურყევდით, მაგრამ ეს საგანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი ხსენებულ იდეოლოგთა უფრო დიდ წრეს შეეხება. თვით მუშა-ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ მას ნამდვილი წარმოდგენა ჰქონდეს თავის ძალღონეზე და, კერძო შემთხვევებში, არ იხელმძღვანელოს ისეთის მოსაზრებით, რომელსაც ნამდვილი ცხოვრება არ ამართლებს. გარეგნობა ხშირად მომატყუებელია და ამიტომ იგი პრაქტიკულ მოქმედებაში სახელმძღვანელოდ გამოუსადეგარი არის.

შემდეგ წერილში ამ აზრს უფრო კონკრეტულ მაგალითით განვმარტავთ და დავანახვებთ მკითხველს, გარეგნობის მიხედვით თუ როგორ ადვილად შეიძლება ყალბი დასკვნა იქმნეს რაიმე მოვლენიდან გამოყვანილი...

პოლონელები და სათათბირო

6 აგვისტოს გამოცხადებულმა ახალმა კანონმა, რომელიც სახელმწიფოს სათათბიროს დაარსებას ეხება, პოლონელების მხრივ რამდენიმე შენიშვნა გამოიწვია.

ამ სათათბიროს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექმნებაო პოლონელებისთვის, აცხადებს გაზ. „რუსში" პოლონელი სტანისლავ სკარჟინსკი.

მთავრობამ სათათბიროს დაარსებისათანავე გამოაცხადა, მას კიდევ ბევრი შესწორება და გამოცვლა დასჭირდებაო,—ალბად აპირებს კიდეც ამ შესწორებას და ამ მხრივ მომავალ სათათბიროს წევრთაგან რჩევასაც მოელის...

მაგრამ რა რჩევის მიცემა შეეძლება ცენტრალისტურად მოწყობილ დაწესებულებას, სადაც თავმოყრილი იქმნება მთელ უზარმაზარ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან მოსული წარმომადგენლები? თქმა არ უნდა, წარმომადგენელთა მოწვევა თავის-თავად მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ შორეულ ციმბირიდან მოსულ წარმომადგენლებს ეცოდინებათ სამხრეთ რუსეთის, ან პოლონეთის ადგილობრივი საჭიროება, არ უნდა მოვთხოვოთ პოლონელს ციმბირის, ან ჩრდილო რუსეთის ადგილობრივ საჭიროებათა გაცნობა.

მომავალი სათათბირო კი სწორედ ასეთ ყველაფრის ცოდნას მოითხოვს ხალხის წარმომადგენელთაგან.

ერთმანეთისა და ადგილობრივ საჭიროებათა არამცოდნე წარმომადგენლები შეიკრიბებიან და საქმეს... ხმის უმეტესობით გადასწყვეტენ.

ყველასათვის, ვინც სახელმწიფო წესწყობილების საქმეს გასცნობია, ცხადია, რომ ამნაირ დაწესებულებას თან ახლავს დიდი ნაკლი, რომელიც ახლავე უნდა მოისპოს უთუოდ.

საერო კრება, სათათბირო რომ იყოს, მაინც კარგია, მაგრამ თავის მოტყუილება არაფერ საქმეში არ ვარგა და აქაც უნდა ვიცოდეთ, თუ რისი იმედი უნდა გვქონდეს შემდეგში, რის შესრულება შეეძლება იმ კრებას, რომელსაც ახლა სათათბიროს ეძახის ყველა.

საერო კრებას, საკანონდებლო იქმნება იგი თუ სათათბირო, სახელმწიფოს საერთო საქმეები უნდა ეკითხებოდეს, ისეთი საქმეები რომელიც ყველას თანასწორად ეხება. ყველგან ევროპაში, ასეთ საერთო საქმეებად ითვლება ფინანსების გამგეობა, სახელმწიფო ქონებათა, სამხედრო და გარეშე საქმეთა სამინისტროების ბიუჯეტის კონტროლი. ყველაფერი, რაც დანარჩენ სამინისტროებს ეხება,—საერთო აღარ არის, ადგილობრივია და ამიტომ უნდა განიხილებოდეს ხოლმე ადგილობრივ კრებებში, სადაც წევრებად ისევე ადგილობრივი წარმომადგენლები იქმნებიან.

ასეა საქმე მოწყობილი გერმანიასა და ავსტრიაში, ასე უნდა იყოს იგი მოწყობილი ყველგან, სადაც სახელმწიფოს სივრცე ან, მცხოვრებთა ეროვნული სხვადასხვაობა მოითხოვს დეცენტრალიზაციას მართვა-გამგეობის და კანონმდებლობის საქმეში.

თქმა არ უნდა, რომ ყველა კანონი შეძლებისდაგვარად გაერთიანებული უნდა შეიქმნეს და, რომ ძნელია, ადგილობრივ კრების ყოველ გადაწყვეტილებას კანონის ძალა მიენიჭოს სახელმწიფოში, მაგრამ ამის მოსაწესრიგებლად შეიძლება განსაკუთრებული საერთო საკანონმდებლო დაწესებულება მოაწყოს ადამიანმა, ისეთი დაწესებულება, რომელსაც ექმნება დავალებული ადგილობრივ კრებების გადაწყვეტილებანი ერთმანეთში შეეთანხმოს და შეუფარდოს სახელმწიფოს საერთო კანონმდებლობას.

ასეა მოწყობილი საქმე გერმანიასა და ავსტრიაში, ცენტრალურ პარლამენტს მხოლოდ ნამდვილად საერთო საქმეები უნდა გადაეცეს ხოლმე განსახილველად.

საქმის ასეთი მოწყობა მხოლოდ პოლონელებისათვის როდია საჭირო, განაგრძობს სკარჟინსკი. თავის საკუთარ საკანონდებლო დაწესებულების მიღება ისეთივე საჭიროა მოსკოვისათვის, როგორც კიევისთვის, სადაც მალოროსები ცხოვრობენ, როგორც ტფილისისათვის, ან ირკუტსკისათვის,—ამნაირ ადგილობრივ საკანონმდებლო დაწესებულების აუცილებლობას მალე შეიგნებს ყველა და მისი მოწყობის გადადება საშინელ შედეგს გამოიწვევს: ახალ მსხვერპლსა და ბრძოლას გახდის რუსეთში საჭიროდ.

ამ წინადადებაზე უარის თქმა ფედერალისტების შიშით არ შეიძლება. ფედერალისტობით ახლა ხალხს აშინებენ ისე, როგორც ძიძები ბავშვებს აშინებენ დევების ხსენებით.

ეს დაწესებულება,—ადგილობრივი თვითმართველობა კანონდებლობის საქმეში—ბუნებრივია და იმას, რასაც თვით ბუნება მოითხოვს, იმას ვერ მოსპობს ადამიანის სურვილი, ის შესრულდება უთუოდ! (რ.)

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 აგვისტო.

კიშინევი, 22 აგვისტო. მარხვდნენ მძარცველების მიერ მოკლულს ებრაელ ქალს. ებრაელთა ბრბო, რიცხვით 5,000 კაცი, კუბოს მისდევდა და მთავრობის წინააღმდეგი დემონსტრაცია მოახდინა. რუსის მუშები თავს დაეცნენ ებრაელებს. მოხდა შეტაკება. გამოწვეულმა ჯარმა ხალხი გაფანტა. დაჭრილია 55 კაცი, დატუსაღებულია 30.

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. ზავის ხელშეკრულობა შესდგება შესავალისა და თხუთმეტის მუხლისგან. ხელის მოწერას ფორმალურად დაამტკიცებენ რწმუნებულთა ამალის პირნი, ნიუ-გემპშირის გუბერნატორი მაკლენი, ადმირალი მიდი, პორტსმუტმი მყოფ ამერიკის სამხედრო გემების უფროსები და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ხელშეკრულობის შინაარს პორტსმუტში არ გამოაქვეყნებენ. პრესსის წარმომადგენლებს გუშინ ვიტტემ უთხრა: „თქვენ შეგიძლიანთ ამცნოთ მთელს ევროპასა და ამერიკას, რომ ჩვენ მზადა ვართ ხელშეკრულობის შინაარსი გამოვაქვეყნოთო.

პეტერბურგი, 22 აგვისტო. მოვიდა სპარსეთის შაჰი სამის პრინცით. შაჰმა ისაუზმა სპარსეთის საელჩოში და იმავე დღეს პეტერბურგში წავიდა. პეტერბურგი ბაირაღებით იყო მორთული.

რომი, 22 აგვისტო. „ტრიბუნა" ამტკიცებს იმ ცნობას, რომ სამხრეთ იაპონიაში რევოლუციური მოძრაობა დაიწყოო. რამდენსამე ადგილს გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები. „ტრიბუნა" დაბეჯითებით ამტკიცებს, ეს სრული ჭეშმარიტებააო.

პეტერბურგი, უმაღლესად დამტკიცებულის დეპეშა ლინევიჩისა, 21 აგვისტოს თარიღით: „19 აგვისტოს, კორეაში ჩვენმა რაზმმა შეუდგენელი უკუაგდო რამდენიმე მედგარი იერიში იაპონელთა ექვსის ბატალიონის 12 ზარბაზნით. ამავე დროს იაპონელებმა ჩვენს რაზმებს შემოუტიეს კანჩეტოგუისთანა და პუნუპუდინგის უღელტეხილთან".

ფინლიანდიის მცხოვრებს კარლოს პროკოპეს, რომელსაც პეტერბურგის სამხედრო სასამართლომ ბრალდება მიუსაჯა პოდპოლკოვნიკის კრამარენკოს მოკვლის გამო, სიკვდილით დასჯა შეუცვალეს სამუდამო კატორღით.

მოსკოვი, 22 აგვისტო. საუბარი გუბერნიის მარშალ თავად ტრუბეცკოისთან. თავადი, 6 აგვისტოს, გამოქვეყნებულ რეფორმას საკანონმდებლო აქტად აღიარებს და სთვლის სახელმწიფოს დიდებულ სიბრძნედ. ის გარემოება, რომ ეს რეფორმა რუსეთის ისტორიულ წარსულის მნიშვნელობას არ აქარწყლებს, თავადის აზრით, მისი ერთი დიდი ღირსებათაგანია. სახელმწიფო სათათბიროს დებულება თითოეულ პარტიათა მოთხოვნილებაში კომპრომისად უნდა ჩაითვალოს. ხელმწიფემ ნდობა გამოუცხადა ხალხსა და საზოგადოებრივ ძალებს, და, აი, ამ რეფორმის დიდი მნიშვნელობაც სწორედ ამაშია. უმაღლეს ტახტიდან აღთქმული რეფორმა და ის დაპირება, რომ შემდეგში თანდათან უფრო და უფრო გაფართოვდებაო ეს რეფორმა, თავადის აზრით, დააკმაყოფილებს უკიდურეს პარტიებსაც კი. მათ უფრო სასურველ ნაყოფს გამოიღებს მომავალში ეს რეფორმა, რომ ცხოვრება თვითონ უჩვენებს და გაუკაფავს გზას სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობას ხალხის საკეთილდღეოდ.

ებრაელთა საქმე—ყველაზე უფრო რთული და საუბრადღებო საქმეა, და მის გადაწყვეტას დიდის სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ და, ამასთანავე, არ უნდა დაივიწყონ უკულტურობა და ქონებრივად უკიდურესი სიღარიბე გლეხობისა. ახლა ნამდვილ, არაშოვინისტ რუსთა მოვალეობაა—ხელი შეუწყონ ქვეყნის დამშვიდებას, განსაკუთრებით დიდის სამსახურის გაწევა ამ შემთხვევაში პრესსას შეუძლიან. საზოგადოება უნდა დამშვიდდეს, არჩევნებისათვის მოემზადოს და თავის წარმომადგენელებად სათათბიროში გაგზავნოს შრომის მოყვარე, ფხიზელი, დინჯი და დამჯდარის ჭკუის ადამიანები. ყოველ რეფორმისა, სახელმწიფო ცხოვრებისა და საკანონმდებლო დაწესებულების მომავალიც იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ იქმნებიან წარმომადგენელებად. თავადი, ეს არის, ახლა დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან და უცნაურს უცხოეთის პრესსის ფხიზელი შეხედულებანი რუსეთის ცხოვრებაზე. არამც თუ მარტო ზომიერი, არამედ რადიკალურ პრესსის მომეტებული ნაწილიც კი სიამოვნებით მიეგება სათათბიროს დაარსებას. თავადი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მოხდენამდე, გამოცხადდება წესდებანი კრებათა, სიტყვისა და პრესსისა, რომელსაც ამჟამად იხილავს გრაფ სოლსკის კომისია.

კიევი, 22 აგვისტო. კიევო-პეჩორის ლავრის უფროსი უარჰყოფს გაზეთების იმ ცნობებს, ვითომც ლავრას მილიონ ნახევარი მანეთის შეძლება ჰქონდეს. ნამდვილად კი ლავრას რამდენიმე ათი ათასი თუმანი აქვს.

პორტსმუტი, 22 აგვისტო. ვიტტეს, როზენსა და კომურას კერძო მოლაპარაკება აქვთ. ხელ-შეკრულობის ასლი მზად ხვალ იქმნება.

ლონდონი, 22 აგვისტო. ნიუკესტლიდან მოსულ დეპეშის თანახმად, ორივე მხარეთა რწმუნებულნი იმედოვნებენ, რომ საზავო ხელ-შეკრულობას ორშაბათს, ან სამშაბათს მოაწერენ. ხელის მოწერის შემდეგ, რუსეთის რწმუნებულნი ნიუ-იორკში გაემგზავრებიან, შემდეგ კი ვიტტე ჩიკაგოს უნივერსიტეტს ინახულებს.

კალკუტტა, 22 აგვისტო. ბენგალის პროვინციის გაყოფის პროექტის გამო, მცხოვრებლები ძალიან აღელვებულები არიან.

გუნჟულინი, 22 აგვისტო. (საკ. კორ.) არაფერი ცვლილება არ მომხდარა. წვიმები შესწყდა. თბილი დღეებია. კორეაში რუსებმა იაპონელებს შაგნი-შაბუესახისკენ დაახვედრეს.

ლონდონი, 22 აგვისტო. აქ რომიდან მოსულ ცნობებს, იაპონიაში რევოლუციის შესახებ, არ უჯერებენ. ის ცნობები, ვითომც კაბელები გადაჭრილი ყოფილიყოს, სიმართლეს მოკლებულია. ნამდვილად ტელეგრაფი ქარიშხალისაგან არის გაფუჭებული. კაბელის ბოლო, იაპონიასთან, სრულიად უვნებელია.

პორტსმუტი, 22 აგვისტო. მიკადომ რუზველტს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ჩვენ უღრმეს მადლობას გიძღვნით იმ დიდს და უანგარო შრომისათვის, რომელიც თქვენ გასწიეთ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. ჩვენ ვაფასებთ ამ თქვენს დიადს ღვაწლს და ვადიარებთ, რომ ზავის შეკვრის საქმეში თქვენ უპირველესი ადგილი გეჭირათ".

გოძიადანი, 21 აგვისტო. ჩინელების ცნობებით, იაპონიის ცხენოსნები, რომლებიც ჩინურ ტანისამოსში უოფილან გადაცმულნი, ლიაოჯუნპენის ჩრდილოეთით გასულან; ცხენოსნებსა დღე გაჰდაანსა და ხევებში იმალებოდნენ, ღამე კი—მოგზაურობდნენ. მათ მოუკლავთ რამდენიმე ჩინელი, რადგანაც შეშინებიათ, არ გაგვცენო. ამ იაპონელებს, როგორც ეტყობოდათ, სიმშილი აწუხებდათ ძალიან, რადგანაც ჩინელების ძალი შეუჭამათ. იაპონელები ძალიან ფრთხილობენ და მხეცურად ექცევიან იმ ჩინელებს, რომლებიც ან ჩრდილოეთისკენ მიდიან, ან ჩრდილოეთიდან მოდიან. რკინის გზასთან მდებარე სოფელ დალადან სავაჭროდ 41 ჩინელი წასულა. იაპონელებმა შეიპყრეს ეს ჩინელები, ამოათხრევინეს საფლავები და მერე 38 კაცი თავდაყირა ჩაფლეს მიწაში ისე, რომ ფეხები მიწის ზევით დარჩათ. სამი ჩინელი მეორე დღეს უნდა დაესაჯათ. როდესაც იაპონელებმა დაიძინეს, ერთი ჩინელი გაპარულა და შინ დაბრუნებულა; ორ ჩინელს კი გაქცევა ვეღარ გაუბედა და მეორე დღეს ეთხოვათ, იაპონიის სალდათებათ მიგვიღეთო. იაპონელებს მათთვის ერთგულების ხელწერილი ჩამოურთმევიათ, თავები გაუკრეჭიათ, იაპონური ტანისამოსი ჩაუცმევიათ და ცოტაოდენი თავისუფლება მიუციათ. რამდენიმე დღის შემდეგ, ეს ჩინელებიც გაპარულან.

პორტსმუტი, 22 აგვისტო. საზავო ხელშეკრულებას ხელს ნაშუადღევის ხუთს საათზე მოაწერენ. ხელის მოწერას, რწმუნებულთა გარდა, დაესწრებიან: პირსი, როგორც შეერთებულ შტატების წარმომადგენელი, ნიუ-გემპშირის გუბერნატორი, მაკლენი, პორტსმუტის ლორდ-მერი და არსენალის უფროსი.

ბერლინი, 22 აგვისტო. ხოლერა გერმანიაში თანდათან ვრცელდება.

სარატოვი, 22 აგვისტო. გუბერნიისა და მაზრის წარმომადგენლები ბირჟაზე შეიყარნენ და გადასწყვიტეს: 6 აგვისტოს მანიფესტის გამო ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი ადრესი გაუგზავნონ.

სმოლენსკი, 22 აგვისტო. გუბერნატორმა საერობო და ქალაქების გამგეობებს წინადადება მისცა, სახელმწიფო სათათბიროში ამომრჩეველთა სიების შედგენას შეუდგნენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. ,,რუსკოე სლოვოს'' კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: პორტსმუტში დიდი დღესას-

წაულია. მთელ ქალაქში ზარების რეკვა ისმის. ძნელი ასაწერია ამერიკელების სიხარული ზავის გამო. ყოველი ამერიკელი ისე იმაყობს რუზველტით, თითქო რუსები იმათ დაემარცხებინოს. ქუჩებში ზოგან ჩხუბი ჰქონდათ საზავო დეპეშების ყიდვის დროს.

იმავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება: ყოველ ნახევარ საათის შემდეგ ახალ-ახალი დეპეშები იბეჭდება ზავის შესახებ. დეპეშებში დაწვრილებითაა აწერილი ზავის პირობები და ათასნაირი უმნიშვნელო წვრილმანი.

მესამე კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება: რუზველტმა სამჯერ ჰკითხა დეპეშით რუსეთის მთავრობას: ეგ თქვენი უკანასკნელი პასუხია, თუ კიდევ დაუთმობთ რასმესო? პეტერბურგიდან უპასუხეს: ამაზე მეტს ვერაფერს დავუთმობთო. ამის შემდეგ, რუზველტმა დეპეშით შეატყობინა იაპონიის იმპერატორს: ,,მე ჩემი მოვალეობა ავასრულე. ეხლა თქვენზეა დამოკიდებული, მშვიდობიანობას დაამყარებთ თუ ომს განაგრძობთ“.

ამავე გაზეთს ბერლინიდან ატყობინებენ: აქ მცხოვრები რუსები ერთმანეთს ულოცავენ ზავის ჩამოგდებას. ყველა გახარებულია.

იაპონია კონტრიბუციას მიიღებს. „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ლონდონიდან დეპეშით იუწყება: აქ დანამდვილებით ამბობენ, რომ საიდუმლო ხელშეკრულობით, ჩინეთმა, მანჯურიის განთავისუფლებისათვის, აუარებელი ფული უნდა გადაუხადოს იაპონიასო (რ. ს.).

ჟორესის აზრი საფრანგეთის მომავლის შესახებ. საფრანგეთის სოციალისტთა ბელადმა ჟორესმა თავის გაზეთ „ჰუმანიტე“-ში დაბეჭდა წერილი შემდეგის სათაურით: „გუშინდელი პროგრამა და ხვალინდელი პროგრამა“. ჟორესი თვალს ავლებს მესამე რესპუბლიკის კანონმდებლობას და ამტკიცებს, რომ 1876 წელს რადიკალურ პარტიის მიერ შედგენილი პროგრამა საფრანგეთმა უკვე განახორციელა და ახლა მომავლის პროგრამის შედგენას უნდა შევუდგეთო. ამ პროგრამის შესახებ ჟორესი სწერს: ,,ახლა უნდა დაიწყოს ყველაზე ძნელი საქმე: პოლიტიკური რესპუბლიკა სოციალურ რესპუბლიკად უნდა გადავაკეთოთ. ამ საქმის განხორციელება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია; ძნელია იმიტომ, რომ უნდა შეიცვალოს საზოგადოების საძირკველი—საკუთრების სისტემა. სამაგიეროდ ამ შემთხვევაში სოციალიზს ძლიერი, მედგარი და გაბედული მოკავშირე ჰყავს. მას ხელს შეუწყობს უკვე განმტკიცებული რესპუბლიკა, განათლებული ხალხი, რომელიც, დღეს თუ ხვალ თავს დააღწევს ეკლესიის მზრუნველობას, კარგად მომზადებული მუშათა კლასი, რომელსაც უკვე კარგად ესმის საქმის მდგომარეობა და თავისი მომავალი. გარდა ამისა, ამ დიდ საქმეს ხელს შეუწყობს პირველ სოციალურ რეფორმების ლოღიკური მსვლელობა, უფრო კი კანონი მუშათა დაზღვევისა, რომელიც პროლეტარიატს წარმოების კონტროლად დააყენებს“.

ნორვეგია და შვეცია. გაიგო თუ არა შვეციის მთავრობამ, ნორვეგიაში მომხდარ პლებისციტის შედეგი და ნორვეგიის სტორტინგის დადგენილებანი, იმ საღამოსვე მინისტრთა კრება მოახდინა მემკვიდრის თავმჯდომარეობით. მინისტრებმა გადაწყვიტეს: დაუყოვნებლივ შეუდგნენ ნორვეგიის სტორტინგთან მოლაპარაკებას იმ საქმეების შესახებ, რომელიც უნიის მოსპობას შეეხება. ამ შემთხვევაში შვეციის მთავრობამ არაჩვეულებრივის სისწრაფით განაცხადა თავისი თანხმობა, რაიც იმას ამტკიცებს, რომ ნორვეგია სისხლის დაუღვრელად და საქმის დაუხლართავად მიიღებს სანატრელ ეროვნულ თავისუფლებას. ხმა გავრცელდა, ვითომ შვეციის მეფე ოსკარი თანახმაა, რომ მისმა შვილმა, კარლოსმა ნორვეგიის მეფობა იკისროს, მაგრამ შესაძლებელია, რომ საქმე სხვანაირად გათავდეს. საქმე იმაშია, რომ ნორვეგიაში რესპუბლიკის შემოღების მომხრეთა პარტია თანდათან ძლიერდება და, თუ ამ კითხვაშიაც ხალხს შეეკითხნენ, უეჭველია ხალხი მონარქიას რესპუბლიკას ამჯობინებს. არც დროებითი მთავრობაა რესპუბლიკის წინააღმდეგი, მაგრამ ის ჯერ იმის გაგებას ცდილობს, თუ რას იტყვიან გერმანია და რუსეთი ნორვეგიაში რესპუბლიკის შემოღების შესახებ. საზოგადოდ სჩანს, რომ დემოკრატიული ნორვეგია უფრო რესპუბლიკას მიემხრობა და სამუდამოდ აიშორებს თავიდან მონარქიას, რომელიც ისედაც ძვირად დაუჯდა ამ სახელმწიფოს.

გესსენის სოციალ-დემოკრატთა კრება. სანამ სრულიად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტეიტაგი მოხდებოდეს, გესსენის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ კრება მოახდინა და რამდენიმე საგულისხმო რეზოლუცია დაადგინა. მომავალ არჩევნების შესახებ ადგილობრივ ლანდტაგში პარტიამ გადასწყვიტა მხოლოდ იმ ოლქებში დაასახელოს თავისი კანდიდატი, სადაც შესაძლებელი იქნება მათი არჩევა. ხოლო იმ ოლქებში, სადაც სოციალ-დემოკრატებს თავიანთი კანდიდატი არ ეყოლებათ, საყოველთაო არჩევნების მოწინააღმდეგე კანდიდატებს შავი კენჭი უნდა მიეცეს. გარდა ამისა პარტიამ ერთხმად დაადგინა; ხელ ახალ არჩევნების დროს, მხარი მისცეს და დაეხმაროს თავისუფალ მოაზრეთა პარტიას. თუ ამ არჩევნებში კლერიკალი და ნაციონალ-ლიბერალი შეხვდნენ, პარტია ნაციონალ-ლიბირალს უნდა მიემხროს, რადგან კლერიკალზე ნაკლები ზარალი მოაქვს. საერთო დადგენილების მიღება ამ საქმის შესახებ მაინც არ შეიძლებოდა; პარტიამ უნდა იხელმძღვანელოს იმით, თუ რა აზრისაა ეს თუ ის კანდიდატი საყოველთაო არჩევნების შესახებ.

რეფორმები რუსეთში

ამ ჟამად პეტერგოფში იმართება **კრებები რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეთა**, რომელნიც არკვევენ ზოგიერთ ისეთ საკითხებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფო სათათბიროსთან. კრებამ დაადგინა: კობეკოს კომისიის შრომა დაუყოვნებლივ გადაეცეს სახელმწიფო სათათბიროს, რომელმაც თავის აზრი უნდა გამოსთქვას პრესსის თავისუფლებაზე. სახელმწიფო საბჭო სათათბიროს შეკრებას არ მოუცდის და შემოდგომაზე განიხილავს რამდენსამე საყურადღებო და მნიშვნელოვან კანონ-პროექტს (რ.).

✦ რუსეთის საქმეების მცოდნე, „ეკო-დე-პარის“ კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: ოფიციალურად ამნისტია, ზავის ჩამოგდება და **ტრეპოვის დანიშვნა შინაგან საქმეთა მინისტრად** ერთ დღეს გამოცხადდებაო (რ. ვ.).

✦ როგორც ვიცით, განაპირა ქვეყნების მონაწილეობის მიღების წეს-რიგი სახელმწიფო სათათბიროში და ზოგიერთი დამატებითი კანონები ამავე დაწესებულებაში უნდა შეიმუშავოს გრ. სოლსკის კომისიამ. ამ კომისიის პირველი კრება 16 აგვისტოს უნდა მომხდარიყო, მაგრამ სხვა დროისთვის გადაიდო. მიზეზი ის იყო, რომ **კრებას საკმაო წევრები არ დაესწრნენ.** ზოგი წევრი ამ კომისიისა იმის წინააღმდეგია, რომ სარტებმა და პოლიტიკურად მოუმზადებელმა ერებმა დეპუტატები იყოლიონ სათათბიროში. განზრახულია ეს საკითხი უფრო კარგად გამოიკვლიონ, რასაც რამდენიმე თვე მაინც დასჭირდება (რ. ს.).

✦ საბოლოოდ გადაწყვეტილია შეადგინონ **მინისტრთა კომიტეტი.** თავმჯდომარედ, ანუ მინისტრ-პრეზიდენტად ასახელებენ ს. ვიტტეს (რ. სლოვო).

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე **თხოვნა მოუვიდა საარჩევნო აგიტაციის მოხდენისა.** გაზეთები იუწყებიან, მინისტრი უარს ეტყვის საარჩევნო აგიტაციაზე. წესრიგი აგიტაციისა უნდა შეადგინოს სოლსკის კომისიამ, რომელსაც პირველი კრება 16 აგვისტოს უნდა მოეხდინა, მაგრამ რადგან წევრები არ მოვიდნენ კრება არ მოხდა (რ. ს.).

✦ „სინ ოტეჩესტვას“ ანგარიშით, **შიდა რუსეთს სახელმწიფო სათათბიროში ეყოლება 412 დეპუტატი.** მათ შორის გლეხი იქნება 273 (66,3%), თავად-აზნაური—91 (22%) და ქალაქის მცხოვრები—48 (11,7%). გაზეთის სიტყვით, ეს მხოლოდ თეორიული ანგარიშია, ნამდვილად კი შეიძლება სულ სხვა შედეგი მოჰყვეს არჩევნებს.

✦ ამავე გაზეთის სიტყვით, არსებულ საარჩევნო სისტემის გამო, ადვილი შესაძლებელია, რომ სახელმწიფო სათათბიროში **არც ერთი ებრაელი არ მოჰყვეს.** რუსეთში 7 მილიონი ებრაელია და ამოდენა ერს ერთი წარმომადგენელიც არ ეყოლება სათათბიროში. გაზეთი ურჩევს ებრაელებს, თუ თქვენ დეპუტატს ვერ გაიყვანთ, ისევ არარუსებისა და მემარცხენე პარტიების კანდიდატებს მიეცით კენჭი და დარწმუნებულნი იყავით, რომ ისინი მტკიცედ დაიცავენ თქვენს ინტერესებსაო (ს. ო.).

✦ პეტროკოვის გუბერნიაში მცხოვრები ებრაელები თავიანთ **კანდიდატად** სახელმწიფო სათათბიროში **ასახელებენ ცნობილ ვექილს ლევის** (ს. ო.).

✦ კიევში ყველაზე მეტი საარჩევნო **კენჭი** სახელმწიფო სათათბიროში **სახლის პატრონებსა და მექარხნეებს ეკუთვნის** (ს. ო.).

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი, 22 აგვისტო. ,,ნოვოე ვრემია“-ს გაუგია, რომ შორეულ აღმოსავლეთში ჯარების უფროსობა და ნამესტნიკობა ლინევიჩს დარჩებაო.

გადმოსახლებულ გამგეობამ, ომის გათავების გამო, აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ციმბირში გადასახლებულთ რკინის გზაზე შეღავათი მიეცეს ხოლმე. გადასახლებულთა დასაბინავებლად, გამგეობა სესხად ექვს მილიონ მანათსა თხოულობს.

„სლოვო“-ში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „მიწათ-მფლობელობის არევ-დარევა კავკასიაში“. ამ წერილში ის აზრი არის გატარებული, რომ უმთავრესი მიზეზი ამ არევ-დარევისა მესაკუთრეების დოკუმენტების უქონლობა არისო. სასამართლომ ამიერ-კავკასიაში მხოლოდ 4% მიწის გამიჯვნა მოახერხა, დანარჩენი მიწების საქმე კი ეხლაც გამოურკვეველია. ეს გარემოება კი ძალიან ხელს უწყობს დაჩემებასა და თვითნებობას და ამიერ-კავკასიის კულტურულ განვითარებას აფერხებსო.

ბაქო, 22 აგვისტო. ბალახანს ცეცხლი მოუკიდეს და ახლა რამოდენსამე ადგილას იწვის. ქალაქის ქუჩებში ჯარები დადის. დილას სროლა შესუსტდა, ზოგი ფიქრობს, რომ შეტაკება უკვე შესწყდაო, ზოგი კი ამტკიცებს ხოცვა-ჟლეტა კიდევ გაგრძელდებაო.

ახალი ამბავი

✦ როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, **მაჰმადიანთა და სომხებს შუა მტრობა და სისხლის ღვრა ისევ განახლდა.** სისხლის ღვრა პირველად ქ. შუშაში დაიწყო. 16 აგვისტოს შუშაში სომხები დაეცნენ ქალაქის სომხის ნაწილში მოვაჭრე მაჰმადიანებს და ერთიანად ამოხოცეს. შემდეგ სომხებმა ამ უბანს ცეცხლი წაუკიდეს. მაჰმადიანები რიცხვით 100 კაცი გამოვიდნენ ქუჩაში და ხალხის დამშვიდება უნდოდათ, მაგრამ სომხებმა თოფი დაუშინეს და ბევრი მათგანი დასჭრეს. მაჰმადიანებს სოფლებიდან მოეშველა ხალხი და ამათაც ხელი გამოიღეს. სისხლის ღვრა დიდხანს გაგრძელდა. ქალაქს ყოველ კუთხიდან ცეცხლი ეკიდა. შუშიდან არეულობა გადავიდა განჯასა, ნუხასა და ალექსანდროპოლში. გერიუსას და ვანქში მაჰმადიანებმა სომხებს ნამდვილი ომი გამოუცხადეს, საშინელი ბრძოლა იყო. აგდამაში, ხუბლაროვის ქარხანაში მოჰკლეს 8 სომეხი და ქარხანაც გადასწვეს. ამჟამად ბაქოშია გამწვავებული ბრძოლა. ხოცვა-ჟლეტა შაბათს დაიწყო. ორთავე მხარეს მოკლულ იქმნა და დაიჭრა ას კაცზე მეტი. მეორე დღეს თოფის სროლა შუადღისას შესწყდა, მაგრამ საღამოზე ისევ განახლდა. ამ დღეს მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვში მომეტებული მაჰმადიანები არიან. ამ დღესვე დასჭრეს ბოქაული თაგ. ნიჟარაძე. საქმე თანდათან მწვავდება.

✦ განჯის გუბერნატორის ბარანოვსკისაგან კავკასიის პოლიციის უფროსმა გენერალმა შირინკინმა გუშინ, 22 აგვისტოს, **შემდეგი ოფიციალური დეპეშა მიიღო**, შუშაში მომხდარ ამბების შესახებ: «16 აგვისტოს, კერძო პირთა შეტაკების გამო, შუშის მთელმა მცხოვრებლებმა იარაღს ხელი მოჰკიდეს, ორ ბანაკად გაიყვნენ, სიმაგრეები დაიჭირეს და სროლა აუტეხეს ერთმანეთს. თათრები სცდილობდნენ სომხების ნაწილში შეცვივნას, სომხები კიდევ თათრებისაში. 18 აგვისტოს მოვახერხეთ და ორთავე მხრიდან შერიგების შესახებ კაცები დავგზავნეთ, მიუხედავად ამისა მაინც მოისმოდა თოფის სროლა და მოსჩანდა ცეცხლის ალი. 19 აგვისტოს ახლად შეგროვდნენ სამღვდელოებანი ორთავე ეროვნებისა და შემოიარეს ქალაქი ლიტანიით და, ცოტა არ იყოს, მშვიდობიანობა ჩამოაგდეს, მაგრამ 20 აგვისტოს, ღამე, ერთ სახლს წაეკიდა და ამან ახლად აალელა ორივე მხარე. 20 აგვისტოს, დილით ძლიერი შეტაკება მოხდა და ცეცხლის წაკიდება ის ის იყო, თათრები უნდა დასცემოდნენ ქალაქს, რომ სამღვდელოების ლიტანიამ შეაჩერა თავსდასხმისაგან. 20 აგვისტოდან მშვიდობიანობაა. სულ მოკლული და დაჭრილია 200 კაცი, გადამწვარია 200 სახლი. გუბერნიის მმართველი ცოცხალია. არავის დაუჭრია. რუსეთის სააგენტოს დეპეშების ცნობა შუშაში უწესოების შესახებ სრულიად არ შეესაბამება ნამდვილს».

✦ კვირას, 21 აგვისტოს, კოჯორში ვიღაცას ხმა გაუვრცელებია, **ღამე მაჰმადიანები სომხებს თავს დასხმას უპირობენო.** სომხებს თავზარი დასცემიათ. ქონებისთვის თავი მიუნებებიათ, ზოგი ეტლით, ზოგი ცხენით და ზოგიც ფეხით ყველა ქალაქისკენ გამოქცეულა.

✦ სხვადასხვა სასწავლებლებში მოსწავლე **ქართველ ახალგაზდობის მშობლებმა** ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, განკარგულება მოახდინოს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდანვე ყველა სასწავლებელში სამღვთო სჯული ქართველ მოწაფეებს სამშობლო ენაზე ასწავლონ.

ფელეტონი

დღიური

ომის დასრულება.—რას ფიქრობ?—ყორანი.—შენც „შინაური მტერი“ ხარ.—იყავ დაღვრემილი!—მომავლის წინამორბედი.—ხალხს თავისი აზრი არ უთქვამს.—ადამიანის თავისუფლება.

ომი დასრულდა! რა იფიქრე ამ ამბის გაგონებაზე, მკითხველო?

გაგეხარდა, რომ შეწყდა ის სისხლის ღვარი, რომელმაც შორეულ-აღმოსავლეთის მინდვრები მორწყო... რომ ხალხის საუკეთესო შვილები აღარ შეიქმნებიან იძულებული დასტოვონ სახლ-კარი, პატიოსან შრომაზე აიღონ ხელი და თოფით ხელში წავიდნენ სხვის მოსაკლავად მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ სახელმწიფოს მთავრობამ მეორე ქვეყნის მთავრობა ვერ შეითანხმა და გაიჯავრა რითიმე?..

თუ გეწყინა, რომ ომის დასრულებით მოისპო ძალა, რომელიც ძირს უთხრიდა არსებულ რეჟიმს და მმართველ წრეებს აიძულებდა გადამდგარიყვნენ და მართვა-გამგეობის საქმეები დაეთმოთ ხალხისთვის... გეწყინა იმიტომ, რომ შიშობ, ვაი თუ გაბატონდნენ, გაძლიერდნენ ისევე ბნელი ძალები, რომელთაც ხალხი ჰყავდათ დამონებული...

რას ფიქრობ, ნეტავი?..

შენს ნამდვილ აზრს მე ვერ გავიგებ იმიტომ, რომ შენი თავისუფალი სიტყვა შებორკილია, რომ „სხვადასხვა“, „შენზე დამოუკიდებელი მიზეზი“ შენს გრძნობებს სიცოცხლეს უსპობს... იმიტომ რომ თავზე გადგია „ბატონი“ და გიბრძანებს იცინე, იმხიარულეო იქ, სადაც ჯავრით გისკდება გული...

შენც იცინი, თითქო გიხარიაო... მაგრამ გეტყობა, რომ ეს სიხარული გარეგანია, ნაბრძანებელი და მოსაჩვენებელი. გეტყობა, რომ გრძნობდი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საშინელ ომიანობას რუსეთში მოქალაქეობრივ ცხოვრების დასამყარებლად და ახლა შიშობ, რომ ომის დასრულება რეაქციას გააძლიერებს და მოსპობს ყველაფერს, რაც შენ ასეთის მეცადინეობით მოგიპოვებია...

იცოდი, რომ არ არის დედა-მიწაზე არც ერთი ხალხი, რომელსაც უბრძოლველად ჰქონდეს მოპოვებული პოლიტიკური უფლება სახელმწიფოში, არ არის არც ერთი უფლება, რომელიც ხალხს მოევლინება თავის-თავად, უბრძოლველად.

და ახლა კი შენი ოცნება განქრა... ყორანივით დაგჩხავის თავზე „მოსკოვსკია ვედომოსტი“ და მთავრობის სახელით ამბობს: რუსეთი იძულებული იყო ერთსა და იმავე დროს საერთაშორისო და შინაურ ომიანობას გაჰძლოდა, უნდა ებრძოლა გარედ და შინაც. მთავრობა დღემდის ვერც ერთში თუ ვერ დარჩა გამარჯვებული, ამის მიზეზი ის არის, რომ ერთი ომი მეორეს ხელს უშლიდა... მაგრამ ახლა შორეულ აღმოსავლეთში ომი დასრულდა, ამიტომ მთავრობა მოახერხებს უთუოდ მეტის გამბედაობით მოჰკიდოს ხელი შინაურ ბრძოლას, შინაურ მტრების დასამარცხებლად.

საჭიროა მოისპოს ყოველივე ის, რაც წინედ ხალხს ძალაუნებურად დაუთმო მთავრობამ, საჭიროა ხელუხლებელი დარჩეს თვითპყრობელობა რუსეთში და ხალხი, საზოგადოება ამ თვითპყრობელ მეფეს ემორჩილებოდეს, წინანდებურად მისი ბრძანებისა და სურვილების მორჩილ და ერთგულ აღმასრულებლად შეიქნეს“.

მართალია, ამას ამბობს ასე თამამად გრინგმუტი, რომელსაც თავის „გრაჟდანინის“ უკანასკნელ ნომერში თვით ცნობილი თავადი მეშჩერსკიც გადარეულს ეძახის...

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მეშჩერსკის აზრს არ დავეთანხმებით იმიტომ, რომ ხსენებულ კითხვაში გრინგმუტისთანა „გადარეული“ ბევრია რუსეთში. ჯერ კიდევ ზავის პირობებზე ხელი მოწერილი არა აქვს ორსავე მხარეს და აქა-იქ თავს ჰყოფენ ბნელ ძალთა წარმომადგენლები და თანდათან მეტის სითამამით ამბობენ: „ჰკა მაგათ, ჰკა ყველას, ვინც ითხოვს ხალხის გაბატონებას სახელმწიფოშიო!“

არ უნდა დავივიწყოთ, რომ გრინგმუტის ხმა ამ შემთხვევაში უდაბნოსა შინა მღაღადებლის ხმას არა ჰგავს,—იგია მმართველ წრეების ხმა, მათის მისწრაფების და იდეალების გამომხატველი...

ამიტომ, მკითხველო, ვიცი, რომ სახე დაღვრემილი გაქვს... შენც ხომ საჭიროდ მიგაჩნია ხალხისთვის სიტყვის თავისუფლება, შენც ხომ მოითხოვ პიროვნების ხელუხლებლობას, შენც ხომ აცხადებ, მართვა-გამგეობის საქმეში ხალხი უნდა იყოსო ბატონი... ხომ ამბობს ამას,—მაშ შენც „შინაური მტერი“ ყოფილხარ და იაპონიასთან ომის დასრულება და ზავის ჩამოგდება შენთვისაც მოასწავებს რეაქციის გაბატონებას, იმის წართმევას, რაც ეგოდენ მსხვერპლით გაქვს მოპოვებული...

საბრალო! იყავ დაღვრემილი,—ამ დაღვრემილობაში მოიპოვებ ძალას მომავალ ბრძოლისთვის! იყავ დაღვრემილი და შორიდან უყურე იმათ მხიარულებას, ვის გამო და ვისი ბრძანებითაც შენი ქვეყნის საუკეთესო შვილები იხოცებოდნენ მანჯურიაში... რა ენაღვლებათ,—ამ საშინელ ომში მათის თავიდან ერთი თმაც არ ჩამოვარდნილა, მათ ჯიბეს ერთი ფარაც არ დაჰკლებია,—მხოლოდ შენ ჰღვრიდი სისხლს და აუარებელ ჯარის შესანახავად ფულსაც იხდიდი... იყავ დაღვრემილი,—არაფერი არა გაქვს სამხიარულო... იყავ დაღვრემილი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ბევრი მეცადინეობა, ბევრი შრომა, დიდი ბრძოლა დაგჭირდება შენ—გამარჯვების მოსაპოვებლად, იმისთვის, რომ გრინგმუტ-მეშჩერსკების გავლენა მოისპოს და სამაგიეროდ ხალხი გაბატონდეს ჩვენ ქვეყანაში... მხიარულების ღიმილს მოგგვრის მხოლოდ განთიადის პირველი სხივი და ეს დროც ხომ ახლოა... გქონდეს იმედი!

ის მუხრუჭი, რომელსაც ახლა, ზავის შემდეგ, ხალხს მოუჭერენ გრინგმუტ-მეშჩერსკები ხალხს მძინარეს გამოაღვიძებს და დაერდომილი სიმწარისაგან ზეზე წამოდგება...

ზავი! გიხარიან ეს ზავი,... რომლისგან აღტაცებულია გრინგმუტი, რომელიც უხარიან მეშჩერსკის, რომელიც შინ საწინააღმდეგო ძალას სიცოცხლეს აძლევს...

ვიცი შენი პასუხი, მაგრამ არ მესმის იგი... სდუმხარ?.. მაგრამ ნუ თუ მართლა ველარ გრძნობ შენს ახლანდელ მდგომარეობას, ნუ თუ მართლა გულში აღარ გიღვივის დიდი გრძნობა,—თავისუფალ ცხოვრების სიყვარული?

ეს გრძნობა გაქვს, ამას ამტკიცებს ის სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი ამბები, რომელიც ყოველ დღე ხდება...

...სდუმხარ!

მაგრამ შენი დუმილი უმოქმედობას არ მოასწავებს,—ყველგან, სადაც რამე საწინააღმდეგო ძალები წინ ეღობებიან შენს გათვითცნობიერებულ განვითარებას, ხალხის შეერთებული ძალა არღვევს წინააღმდეგობას და იმარჯვებს... იმარჯვებს თანდათან,—რაც უფრო ნაკლები ძალებია შეერთებული, მით უფრო ნაკლები იქმნება მოსალოდნელი გამარჯვება, მეტის ძალების შეერთებით გამარჯვებაც მეტია და იქ კი, სადაც მთელი ხალხი, მიმართულების მიუხედავად, ერთს და იმავე მიზნისაკენ მიისწრაფება, იქ გამარჯვებაც დიადია, მთელი ხალხისათვის ბედნიერების და თავისუფლების მომნიჭებელი.

ამიტომ, როდესაც ვხედავ, რომ ჩვენი მხარის სხვადასხვა კუთხეში ერთი და იგივე ამბები ხდება, რომ ქალაქსა და სოფელში ერთსა და იმავე მიზანს ისახავს ხალხი..., ყოველივე ეს დიად მოვლენის წინამორბედია...

მართალია, ჯერ კიდევ ახლად შემდგარი ხარ მომავლისაკენ მიმავალ გზაზე და ამიტომ შეიძლება აქა-იქ პირდაპირ გზას ასცდე კიდეც, მაგრამ ერთხელვე გამოფხიზლებული ხალხი ძილს ველარ მიეცემა და, დღეს იქნება თუ ხვალ, უთუოდ მიაღწევს მიზანს...

ეს მიზანია—ადამიანის განთავისუფლება ქონებრივად, ახლანდელ ეკონომიურ მონობის მოსპობა: ზნეობრივად,—სიტყვის, აზრის, სინიდისის თავისუფლება, განთავისუფლება კულტურულადაც,—ეროვნულ დამონების მოსპობა, ეროვნულ თანასწორობის დამყარება სახელმწიფოში.

ამ მიზნის მიღწევის საქმეში ხშირია მტერი, მოყვასის ქერქში გამოხვეული, ხშირია გულით კეთილის მსურველი, მაგრამ საქმით კი ახალ მონობის შემქმნელი, გაბატონების მსურველი, ხალხის ნამდვილ თავისუფლების მომსპობი...

— მე მიწამე და მოგანიჭებ თავისუფლებას, თუ არ მიწამე კი, მაშინ ბრძოლა შენ, ბრძოლა მედგარი, ძალა ჩემს ხელშია და მოგისპობ არსებობასო,—ამას გრინგმუტ-მეშჩერსკები გაიძახოდნენ, ამას ამბობდა ბიუროკრატიაც... გრინგმუტს უკვირდა, რად ამბობენ, რუსეთში არ არისო სიტყვისა და აზრის თავისუფლება, განა ჩემი მიმდევრები არ არიანო თავისუფალნი,—და ჩემს მოწინააღმდეგეებს თუ ვდევნი, იმიტომ რომ ისინი „შინაური მტრები“ არიან, ხალხის ნამდვილი მტრებიო.

და გრინგმუტ-მეშჩერსკის სიტყვას იმეორებს ზოგიერთი თავისუფლების ვითომ მოტრფიალე და ხალხს „უბრძანებს“—,,მე მიწამე და მოგანიჭებ თავისუფლებას, თუ არ მიწამე, მაშინ კი ბრძოლა შენ, ბრძოლა მედგარი და შეუპოვარი, ძალა ჩემს ხელშია და მოგისპობ არსებობასო!..

ხალხს ჯერ თავისი, გადაჭრილი სიტყვა არ უთქვამს.

ხალხის აზრი ამ შემთხვევაში ორნაირი ვერ შეიქმნება,—ხალხს უნდა პიროვნების თავისუფლება, ხალხს უნდა სიტყვის და აზრის, სინიდისის თავისუფლება და ყოველი, ძალად მიჩეჩებული აზრი მისთვის საზარელია.

ხალხს უნდა თავისუფლება და ისინი ვინც „თავისუფლების სახელით“ გამოდიან და ხალხს კი უბრძანებენ,—ჩემი მიმართულება მიიღე, ჩემი ბრძანება აასრულეო, ისინი ხალხში დიდი ხნის ბატონობას ვერ შეირჩენენ იმიტომ, რომ ხალხს მხოლოდ სახელმწიფო საქმეებში კი არ უნდა შეიქმნეს თავისი ბატონი, არა, უფრო წვრილმან საქმეებშიაც მისთვის სასურველია „ბატონების“ ჩამოშორება...

თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი! ჩემი თავისუფლების შეზღუდვა, სულ ერთია გრინგმუტ-მეშჩერსკების ბრძანებით იქმნება იგი გამოწვეული, თუ იმათის სიტყვით, ვისაც თავი ხალხის მომხრედ და თავისუფლების მოტრფიალედ გამოჰყავს,—ბოროტ-მოქმედებად მიმაჩნია, ვინაიდან არავის, არც მტერს და არც მოყვარეს, არა აქვს უფლება ჩემი ბატონობა იკისროს...

თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი! ამა თუ იმ პარტიის პროგრამას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც მას თავისუფლად მოეკიდება ადამიანი, როდესაც მოემხრობა პარტიას რწმენით და არა იმიტომ, რომ იგი უფრო ძლიერი ჰგონია... ყოველი პარტია, რომელიც პარტიულ გრძნობას პარტიის მომხრეთა პირად შეხედულებაზე უფრო მაღლა აყენებს, რომელიც პარტიის წევრთაგან მოითხოვს ბრმა მორჩილებას, ისეთ მოქცევას, როგორსაც ,,უბრძანებენ“ მეთაურები—მონობის შემქმნელია.

თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი! მის სიტყვას არ უნდა ედოს ბორკილი, არავითარი ძალა არ უნდა აფერხებდეს მის აზრის თავისუფალ განვითარებას... ბატონობა, როგორიც უნდა იყოს იგი, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს,—მავნებელია, სულ ერთია, ეს ბატონობა ბიუროკრატიის ქერქში გამოეხვევა, თუ თავისუფლებისათვის მებრძოლ პარტიის სახეს მიიღებს.

როგორც ბიუროკრატიის თვითნებობა ვერ შეარჩენს ბატონობას იმ ქვეყანაში, სადაც ხალხის უმეტესობა თავისუფლების მოტრფიალეა,—ისე ძალად შემოღებული საიდეალო წესწყობილებაც ვერ შეიქმნება მკვიდრი,—ადრე იქმნება თუ გვიან, ხალხი გამოაცხადებს,—ძალით შემოღებული სიკეთეც მეჯავრებაო.

მხოლოდ იმას აქვს სიმკვიდრე ხალხში, რასაც ხალხის უმეტესობა შეგნებულად ემხრობა.. ამიტომ ხალხის ყოველი გულშემატკივარი უნდა სცდილობდეს ხალხის გამოფხიზლებას, უნდა ეცადოს ხალხს თავისუფალ მსჯელობის ნიჭი განუვითაროს, რომ ხალხმა თვითონ აწონდაწონოს ყველა მიმართულება და ბოლოს თავისუფლად, შეგნებულად რომელსამე დაადგეს...

ადამიანი თავის აზრების სიმართლეში თუ არის დარწმუნებული, მაშინ მას მოწინააღმდეგეთაგან აზრის გამოთქმა არ შეაშინებს: მას არ დასჭირდება მოწინააღმდეგეთა ნაწერების აკრძალვა და ხალხში მხოლოდ თავის ნაწერებისთვის მონოპოლიის შექმნა, მას არ დასჭირდება საჯარო კრებებში მოწინააღმდეგე ორატორების ჩაჩუმება ყვირილით, არ დასჭირდება მოძმეთა გონების შემოზღუდვა „მავნე“ მიმართულებისაგან დასაფარავად...

ვარ. ფ—ი.

საფრანგეთის წარსულიდან

(თარგმანი)

საერო კრება.

1789 წლის 5 მაისი. ვერსალის*) ქუჩები ხალხითაა გაჭედილი. ყველა წინ მიიწევს, სურს „ბრწყინვალე დღესასწაულის“ ნახვა, ამ „დღესასწაულზე ლაპარაკით, ამ უკანასკნელ დღეებში, ყველას ყური გამოუჭედეს. როგორც იქნა, ეღირსათ! აი, ქუჩის ბოლოში ხალხი შეირხა, რაღაც მოსჩანს, პროცესსია ნელის ნაბიჯით წინ მოიწევს და ცნობის მოყვარე ხალხი უკვე არჩევს თითო-ოროლა პირთ, ეს გახლავთ საფრანგეთის ბრძანებელი, ბრწყინვალე ამალით გარემოსილი“ ყველაზე წინ მოდის მეფე მეუღლითურთ, მათ მოსდევენ მინისტრები, პრინცები და სასახლის დიდებულნი, მათ უკან თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდების დეპუტატები, ყველაზე უკან კი მოდიან მესამე წოდების წარმომადგენელნი, უბრალო ტანისამოსით მორთულნი. ხალხი ჯერ ეკლესიაში შევიდა, შემდეგ სასახლისკენ გასწია.

---

*) ვერსალი პატარა ქალაქია პარიზის ახლო.

◆ ორშაბათს, ღამე, იზმაილოვის ქუჩაზე **სამი ტყვიით დასჭრეს გოროდოვოი ლისოვენკო** მკვლელმა რევოლვერი ოთხჯერ ესროლა. ერთი ტყვია ლისოვენკოს გულში მოხვდა, მეორე მუცელში, მესამეც მარცხენა ფეხში. საავათმყოფოში რომ მიჰყავდათ, ლისოვენკომ ორი მკვლელის გვარი დაასახელა.

◆ ,,პიატ. ლის.'' სიტყვით, პიატიგორსკში პოლიციას აღმოუჩენია **იარაღის საწყობი.** უპოვნიათ ორი ყუთი ბერდანის თოფებითა, რევოლვერებითა და პატრონებით სავსე. დაუჭერიათ ერთი ყმაწვილი კაცი სომეხი ხაჩკავანკციანცი.

◆ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი **გაზ. ლომაიასა და ალ. შურგაიას**, რომელთაც ქ. ფოთში ჟანდარმის უნტერ-ოფიცერის მოკვლა ბრალდებათ, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის ბრძანებით, **სამხედრო სასამართლო გაასამართლებს.**

◆ „ტფ. ფურც."-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ სიღნაღის ახლოს, გზატკეცილზე, მოუკლავთ ომნიბუსით მიმავალი **ტყის უფროსი კლემენკო** და გაუძარცვავთ მასთან მყოფი ჯანიბეკოვი და ბაჟანოვი. მკვლელები დაუჭერიათ.

◆ სოხუმიდან „ნოვ. ობ."-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ კვირას, ღამე, **სოხუმის ციხიდან ექვსი ტუსაღი გაქცეულა.** ერთი იმათგანი ჯაიანია, რომელსაც სოხუმის ოლქის უფროსის დაჭრა ბრალდებოდა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ სულთან კრიმ-გირეიმ ნება დართო ბ-ნ სანდეცკის, ქ. ბათომში რუსულ ენაზე გამოსცეს **ყოველდღიური გაზეთი „ბათომის ფურცელი".**

◆ ბ-ნმა ი. გოგებაშვილმა კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წარუდგინა ვრცელი მოხსენება **კავკასიაში სახალხო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.**

◆ როგორც „ტერსკია ვედ." გადმოგვცემს, კავკავის ქალაქის ტრამვაიზე **კონდუქტორებად და ვატმანებად** უმაღლეს სასწავლებლების მრავალი სტუდენტი მუშაობს თურმე.

◆ მაზრის **მეთვალყურეთა კრებამ** გუშინდელ სხდომაზე დაადგინა, სამოსწავლო პლანის შესამუშავებლად შემდგარ კომისიაში მოწვეულ იქმნას აგრედვე ან. ნატროშვილი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა შემდეგი მიწერილობანი დაუგზავნა ბოქაულებს: „მიუხედავად პოლიციელთა ათასგვარ დაჯარიმებისა, მათ ხეპრულ ქცევას მცხოვრებლების მიმართ ბოლო აღარ ეღება. პოლიციის მოსამსახურებზე ატეხილ საჩივრების გადათვალიერების დროს, ნათლად მტკიცდება ის ფაქტი რომ, როგორც დაბალ ისე უფროს პოლიციელებს დანაშაული მუდამ სამთვრალის დროს ჰქონიათ ჩადენილი. რადგანაც პოლიციელების უმთავრესი მოვალეობა—ზრუნვაა წესიერების დაცვისა და მცხოვრებთა ხელ-უხლებლობაზე, ვისაც ეს მოვალეობა არ ესმის, გავალებთ პირდაპირ გადაყენებაზე და დათხოვნაზე წარმომადგინოთ ხოლმე''.

◆ აუარებელი ბაქოელი ჩამოვიდა ტფილისში. ბაქოდან პურსა თხოულობენ.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა სამარხი კასის წესდება დასამტკიცებლად ნამესტნიკს წარუდგინეს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში დაიწყო მოწაფეთა გამოცდა. სულ 120 თხოვნაა შეტანილი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა მე-9-ე უბნის ბოქაულს: როგორც ვსცან, «პოლიციელ ბარანოვს უმიზეზოთ დაუჭერია და უჩასტკაში წაუყვანია ექიმი გ. რადგან გამოირკვა, რომ ამ პოლიციელს ესეთი საქმე სიმთვრალის დროს მოსვლია, გავალებთ გადააყენოთ იგი სამსახურიდან, ხოლო უბნის ზედამხედველს ტუსკევიჩს საყვედური გამოუცხადოთ.

გაზეთების აზრი ზავის შესახებ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პროგრესიული პრესსა სიხარულით მიეგება შორეულ აღმოსავლეთში სისხლის ღვრის შეჩერებას. კაცი ჰამია „ნოვოე ვრემია" და „მოსკოვსკია ვედომოსტი" კი სწუხან, რომ ლინევიჩს გამარჯვების ნება არ მისცეს, მარშალ ოიამას დამარცხება არ დააცალეს და რუსეთს თავსლაფი გადაასხეს.

„მთელ რუსეთს სიხარულის ოხვრა აღმოხდება გულიდან, როცა გაიგებს ამ სასიხარულო ამბავს.—სწერს მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალ პროფესორთა ორგანო **„რუს. ვედ".**—გათავდა რუსეთის განუწყვეტელი ტანჯვა და შერცხვენა; გათავდა აუარებელ ახალგაზრდათა ხოცვა-ჟლეტა, სისხლის ღვრა და აუარებელ ფულის უაზრო ხარჯვა". ახლა ომი გათავდა, მშვიდობიანობა დამყარდა და „საზოგადოება და მთავრობა შინაურ საქმეებს მოჰხედავს. ორივეს—საზოგადოებას და მთავრობას—ამიერიდან მხოლოდ რუსეთის მოწყობა უნდა აფიქრებდეს".

„ომი თავდება.—სწერს მეორე პროგრესიული გაზეთი **„რუსკოე სლოვო"**. გათავდა ყველაზე უბედური და საშინელი ფურცელი რუსეთის ისტორიისა. საჭირო არ არის ამ ომის მიზეზების მოგონება. საზოგადოებრივმა აზრმა თავის მსჯავრი დასდო ამას და ისტორიაც დაამტკიცებს, რომ ეს მსჯავრი სამართლიანი იყო. ამ ომმა რუსეთს ბევრი შავი დღე აჩვენა, ბევრი მაგალითი მისცა და ჩვენც ამ მაგალითით უნდა ვისარგებლოთ". ეს გაზეთიც თხოულობს, რომ ამიერიდან საზოგადოებამ მთელი თავის ყურადღება რუსეთის შინაურ საქმეებს მიაქციოს და რუსეთის განთავისუფლებას ხელი შეუწყოს.

„ნოვოე ვრემიაც" სწყევლის ამ ომს და რუსეთის დამარცხების მიზეზს იქ კი არ ეძებს, სადაც ის დაიბადა და სადაც ახლაც ბუდობს, არამედ იქ, სადაც ამ მიზეზმა ნაყოფი გამოიღო. გაზეთის აზრით, რუსეთი იმიტომ დამარცხდა, რომ „სარდლები უნიჭონი იყვნენ, საზოგადოება—ცოდვილი, ადმინისტრატორები—ზარმაცნი და დიპლომატები—ბრმები. ყველა ეს იმით გათავდა, რომ რუსეთის ისტორიაში უმაგალითო ამბავი მოხდა: რუსეთმა ზავი ჩამოაგდო". გაზეთი სწუხს, რომ ზავი სწორედ იმ დროს ჩამოვარდა, როცა ლინევიჩი ოიამას დასამარცხებლად მოემზადა. შემდეგ ის ანგარიშობს რუსეთის აუარებელ ქონებრივ და ზნეობრივ დანაკლისს, მაგრამ უმთავრესი სილა „რუსეთის თავმოყვარეობასა და ეროვნულ გრძნობას მოხვდა". დასასრულ გაზეთი იწვევს საზოგადოებას, ჩქარა შეერთდეთ, გავღონიერდეთ, ავღორძინდეთ და ჩვენ მტრებს დაუმტკიცოთ, რომ რუსეთი დიდებული და მძლავრი სახელმწიფოაო. თუ რით აპირობს სუვორინის გაზეთი რუსეთის სიდიადის დამტკიცებას, ძნელი გამოსაცნობი არ არის: ისევ ზარბაზნებითა და ხიშტებით.

თვითონ სუვორინიც ტირის: „ამისთანა სამარცხვინო და საზარალო ზავი რუსეთს ჯერ არ სწვევია,—სწერს მოხუცი სუვორინი. რუსეთმა ომი წააგო, რუსეთმა ბრძოლის ველზე ეგზამენი ვერ დაიჭირა და ჩაიჭრა. ეს ომი რუსეთის ისტორიაში შავ ფურცელზე უნდა დაიწეროს და ეს ფურცელი სამუდამოდ დარჩება. იაპონელებმა მიიღეს ყველაფერი, რასაცკი თხოულობდნენ, და ფარულად თუ პირდაპირ იმ მილიარდებსაც მიიღებენ, რომელსაც ასე დაჟინებით თხოულობდნენ. არ ვიცი, რა ღირს სახალინი, 20 კაპეიკი თუ 2 მილიარდი? რა ღირს პორტ-არტური და დალნი? რა ღირს რუსეთის სახელი და მისი გავლენა და მნიშვნელობა აზიაში? რა ღირს იაპონიის გაძლიერება რუსეთის ხარჯით? რა ღირს რუსეთის ფინანსების არევ-დარევა და დაცემა? არც ამის გამოანგარიშება შეიძლება და არც იაპონიის მოგებისა. იაპონიამ ნება მოგვცა, რომ შორეულ აღმოსავლეთში ფლოტი ვიყოლოთ, მაგრამ განა ეს სულ ერთი არ არის? ახალ ფლოტს რუსეთი მხოლოდ 20 წლის შემდეგ გაიჩენს, იმ დროს კი იაპონიას ისეთი ფლოტი ეყოლება, რომ არა თუ რუსეთი, ამერიკაც ვერ გაბედავს იმასთან შებმას". ბოლოს სუვორინიც თხოულობს რუსეთის აღორძინებას და მთელ თავის იმედებს სახელმწიფო სათათბიროზე ამყარებს.

„მოსკოვ. ვედ."-იც ცხარე ცრემლებს აფრქვევს და ბრაზობს, რომ რუსეთის ჯარს იაპონიის ჯარის დამარცხება არ დააცალეს. რუსეთის ჯარის დამარცხება, რასაკვირველია,

გრინგმუტიც თხოულობს, მთელი ჩვენი ძალღონე შინაურ საქმეებს უნდა მივაქციოთო.

,,ნაშა ჟიზნ''-ი: ,,ჩვენც გვიხარიან ჩვენი რამდენსამე ასი ათას მოქალაქესთან ერთად, რომელნიც ბედნიერებას მოსწყვიტეს და მანჯურიაში დასაკლავად გაგზავნეს. ახლა მათთვის სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. ჩვენ გვიხარიან, რომ სისხლის ღვრა გათავდა, მაგრამ ზავის პირობებში სასიხარულო არაფერია. სახალინის ნახევარი იაპონელების ხელში გადადის და ვინ იცის, რა საიდუმლო პირობები მისცეს რუსეთის წარმომადგენლებმა იაპონიას. რუსებს სასიხარულო არა აქვთ-რა''.

,,სინ. ოტეჩესტვა'': ,,დღეს ჩვენი სამშობლო სიხარულით ამოისუნთქავს და გულიდან მძიმე ლოდი მოეშვება. ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით რამდენსამე ასი ათას განათლებულ, თვალ-ახილულ და საშინელ მაგალითებით მორჯულებულ მოძმე სალდათს, რომელნიც ჩვენთან ერთად შეიგნებენ და დარწმუნდებიან, რომ რუსეთს შველა და ხსნა უნდა''.

,,სლოვო'': ,,ჩვენდა უნებურად, გულში ბრაზი გვებადება იმათ წინააღმდეგ, ვინც რუსეთი დაამცირა, თავსლაფი გადაასხა და იქამდის მიიყვანა, რომ [illegible], კონტრიბუციას არ ვიხდითო. იქნება ღმერთმა აპატიოს ამათ მათი ცოდვანი, მაგრამ ჩვენ და ჩვენთან ერთად სხვებიც ვერ ვაპატიებთ. ჩვენ არადროს არ დაგვავიწყდება ეს სამარცხვინო ომი, არადროს არ მოგვირჩება ის იარა, რომელიც ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას გაუჩინეს. მომავალში ჩვენ კბილთა ღრჭენით იაპონიას კი არ მოვიგონებთ, რომელიც, უეჭველია, დაგვემეგობრდება, არამედ იმათ, ვინც ომი მოამზადა და თვითონ კი არ მოემზადა, ფლოტი გაანადგურა და იმოდენა ჯარი უკან წამოიყვანა''.

„ბირჟ. ვედომოსტი": ,,რუსეთი ახლა გულდამშვიდებით დასთვლის თავის ზარალს, რომელიც იაპონიის მიერ მიღებულ გაკვეთილში მისცა. მაგრამ ეს გაკვეთილი ისე ძვირად დაგვიჯდა, რომ დანახარჯი უეჭველად სარგებლით უნდა ავინაზღაუროთ.

„სვეტი": „საქმე ზავით გათავდა. ზავი აუცილებლად საჭირო იყო იაპონიისთვის. იმედი გვქონდა, რომ ერთ მტკაველ მიწასაც არ დავუთმობდით იაპონიას, მაგრამ ეს იმედი გაგვიცრუვდა: სახალინის ნახევარი, მისი საუკეთესო ნაწილი იაპონიას მიაქვს. ესეც საკმარისი შერცხვენაა. ჯერ-ჯერობით ამ ამბის აწონ-დაწონვა და დაფასება შეუძლებელია. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ რუსეთმა იაპონიას არაფერი არ უნდა დაუთმოსო, მაგრამ მოვტყუვდით.

უცხოეთის პრესსამაც გამოსთქვა თავისი აზრი. რუსეთის მეგობარი ფრანგული გაზეთი **„ტან"-ი** სწერს: „ამ ომს უდიდესი პოლიტიკური შედეგი მოჰყვება: რუსეთი იძულებული გახდა თავის თავზე დაიხედოს და თავის ძალა და ღირსება სწორედ ასწონოს. იაპონია კი მთელ ქვეყნის უძლიერეს სახელმწიფოთა სიაში ჩაეწერა, თავის გამარჯვებით იაპონიამ ისეთი სახელი გაითქვა აზიაში და ისეთი გავლენა მოიპოვა აზიელებზე, რომ დღეიდან იგი უძლიერესი მეტოქე გახდა დანარჩენ ქვეყნებისა ეკონომიურადაც და სოციალურადაც. იაპონია დაუყოვნებლივ ისარგებლებს ამ დარით''.

,,ლიბერტე'': ,,იაპონიამ ამ ომით საშინლად მოიგო და ამ მოგების გამოანგარიშება არავის შეუძლიან. რუსეთი კი დამარცხდა და გათახსირდა, მაგრამ არც ის წააგებს ბევრს, თუ ომის მაგალითით ისარგებლა და თავის შინაურ საქმეებს მოუარა''.

,,ჟურნალ დება'': იაპონიამ აურაცხელი მოგება მიიღო და თავის სიმამაც[illegible]ლებით მთელი ქვეყნის ყურადღება, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ამიერიდან ამომავალ მზის ქვეყანა უძლიერეს სახელმწიფოებს ამოუდგა გვერდში. რუსები კი დარწმუნდნენ, რომ მათთვის საჭიროა რადიკალური რეფორმები, შინაური თავისუფლება და მოქალაქობრივი ცხოვრება''

ინგლისური გაზეთი **„სტანდენტ''-ი** სწერს: ,,რუსეთმა იმით გაიმარჯვა, რომ იაპონიას პირდაპირი კონტრიბუცია არ გადაუხადა, მაგრამ იაპონიის გამარჯვება ათჯერ მეტია; იაპონიამ რუსეთს ტერიტორია წაართვა და ამით საშინელი სილა სტკიცა რუსეთის ეროვნულ თავმოყვარეობას''.

,,დეილი ტელეგრაფ''-ი: ,,ვიტტემ და რუზველტმა თითქოს გაიმარჯვეს, მაგრამ იაპონიამ პორტსმუტში დაწერილ ხელშეკრულობით ერთი ათჯერ გადაუხადა რუსეთს სიმონოსეკის ხელშეკრულობისთვის.''

,,გლობ''-ი: ,,რუსეთ-იაპონიის საზავო ხელშეკრულება არაჩვეულებრივი და დრამატიული ამბავია მთელ ქვეყნის ისტორიაში''.

ზემოხსენებული გაზეთები ცოტად თუ ბევრად კარგის თვალით უყურებენ რუსეთს; რაც შეეხება სხვა გაზეთებს—რადიკალებისა, ლიბერალებისა და სოციალისტების ორგანოებს, მათ შესახებ რუსეთის პრესსაში არაფერი იბეჭდება.

პრესსა

გაზ. „მოსკოვსკია ვედომოსტი" საზოგადოდ გაძლიერებულ დაცვის მომხრეა. ამას წინად იგი ხომ პირდაპირ დიქტატურის შემოღებას ითხოვდა. ახლა მას მოჰყავს გაზეთ ,,ბირჟევია ვედომოსტიდან'' (№ 899) შემდეგი წერილი:

> „გაძლიერებულ დაცვის წესები, უკანასკნელ შემოდგომის შემდეგ, თანდათან უფრო ხშირად შემოდის რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, სადაც არეულობა თანდათან იზრდება და არ ცხრება. ჯერ არასოდეს წინად არ ყოფილა ეს გაძლიერებულ დაცვის წესები შემოღებული იმდენ გუბერნიაში, როგორც ახლა, ჯერ არასოდეს არ შემოუღიათ ასე ხშირად გაძლიერებულ დაცვის მაგივრად სამხედრო წესები...
>
> ის ძირითადი რეფორმა, რომლის საშუალებით აპირობდნენ ხალხის დამშვიდებას, ჯერ კიდევ არ არის შემოღებული. სათათბირო ხალხს ვერ დაამშვიდებს იმიტომ, რომ ახალ კანონით საარჩევნო ხმა არ ეძლევა ხალხის უმეტესობას, იმიტომ რომ მუშა-ხალხი გარიყული რჩება, რომ წვრილი მემამულეები, ვაჭრები და თავისუფალ პროფესიების წარმომადგენელნი ვერ მიიღებენ მონაწილეობას ამ სათათბიროში, ამას გარდა არჩევნების მრავალკეცობა და ის პირობები, რომლებშიაც ჩაყენებულია სათათბირო, ყოველივე ეჭვს გარეშე ხდიან, რომ სათათბიროს არაფერ საქმის გაკეთება არ შეეძლება. რუსეთში ახლა გარდამავალი ხანაა და ამისი საუკეთესო გამომხატველი ის არის, რომ ყველგან თანდათან შემოდის გაძლიერებულ დაცვის წესები, რომ ყველგან ამნაირად მოქალაქობრივი ცხოვრება ირღვევა.

„მოსკოვსკია ვედომოსტი'' ამას არ ეთანხმება და ამბობს, სწორედ ახლაა საჭირო ყველგან გაძლიე-

---

რას ნიშნავდა ყველა ეს? სად და რისთვის მიდიოდა ხალხი? დღეს რად შეკრებილიყვნენ?

ამ დღეს ლუი მე-XVI, მეფე საფრანგეთისა, მის მიერ მოწვეულ წოდებათა წარმომადგენლების კრებას იწყობდა.

ლუი მე-XVI-ს წინაპრებთაგან წილად ხვდა აუარებელ ომებით, ფუფუნებით, გარყვნილებით და არეულ-დარეულობით დაუძლურებული საფრანგეთი და დასუსტებული ხალხი. მოუსავლობამ იმატა. მშიერს ხალხს სამკეცი უღელი აწვა კისერზე: სახელმწიფო გადასახადები, ბრწყინვალე წოდებათა ხარკი და აღვირ-ახსნილ ჩინოვნიკობისაგან ძარცვა-გლეჯა. სახელმწიფო ვალები ერთი-ორად მატულობდა, სახელმწიფოს ნდობა თანდათან ეკარგებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოდესმე მდიდარი საფრანგეთი დღეს აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ფულს ველარ შოულობდა.

ტახტზე ასვლისას (1774 წ.) ლუი მე-XVI კარგად გრძნობდა, რომ არსებულ წესწყობილების შეცვლა აუცილებლად საჭირო იყო. მაგრამ, როგორ? ეს კი აღარ იცოდა იმ მეფემ, რომელსაც დიდი ნიჭი და ხასიათის ძალა არ შესწევდა; პრინცებისა და მინისტრების ხელში ის უბრალო სათამაშო ნივთი იყო.

მხოლოდ მცირე რიცხვს მინისტრებისას ესმოდათ ქვეყნის გასაჭირი და ძირითად რეფორმების შემოღებას ცდილობდა. მაგრამ მათ მისწრაფებათ წინ ეღობებოდა უმრავლესობის გიჟური ჟინი.

უმრავლესობის ბანაკში ორნაირი ფრაქცია იყო: ერთს მათგანს მთელის თავისის არსებით სძაგდა ხალხი, სძულდა ყოველივე ახალი წესი, რეფორმების შემოღებას ჯარის საშუალებით უმკლავდებოდა; მეორენი კი ფიქრობდნენ, ცოტა რამ რეფორმებია საჭირო, ხოლო ხალხი ბავშია და ცოტა რამ ცვლილებებით მისი მოტყუილება ადვილიაო. პირველს მხარს უჭერდნენ მეფის მეუღლე და პრინცები. თვით მეფე კი ყოყმანობდა: ხან ერთ ჰკუას მიემხრობოდა ხოლმე და ხან მეორეს. ხალხის მღელვარება კი დღითი დღე იზრდებოდა და საშიში ხდებოდა.

ხაზინის გაკოტრება კი აიძულებდა მეფეს რაიმე გადაწყვეტილება მიეღო. სასახლე ფუფუნებას იყო დაჩვეული და ამიტომ არაფრად ეპიტნავათ, როცა ზოგიერთმა მინისტრებმა ხელმოჭირნეობა დაიწყეს და სასახლის სარჩენი ხარჯი შეამცირეს. თავად-აზნაურობა ამ დრომდე სახელმწიფოს სასარგებლოდ არაფერს არ იხდიდა, დღეს კი მისი დაბეგვრაც მოინდომეს, მაგრამ ამ სურვილმა ფუჭად ჩაიარა: ბრწყინვალე წოდება არ დაემორჩილა ესეთს დადგენილებას და მეფის ტახტს გადაემტერა.

სიმშილობა მეტის-მეტად გამძაფრდა. ძალზე შევიწროებულ გლეხებს მოთმინების ფიალა აევსოთ და ,,ბუნტობა'' დაიწყეს. ,,ბუნტის'' ჩასაქრობად გამოწვეული ჯარი სროლაზე უარს აცხადებდა. აზნაური აფიცრები თანაუგრძნობდნენ ჯარის კაცთ. როგორც ვიცით, ტახტმა აზნაურებიც გადაიმტერა.

ამ დროს მთავრობას მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება-ღა დარჩენოდა—წოდებათა წარმომადგენლების მოწვევა. ეს წოდებრივი წარმომადგენლობა არ იყო ახალი ხილი საფრანგეთისთვის, ის ძველი საუკუნოების ნაშთი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფის ტახტი გაძლიერდა, წოდებათა წარმომადგენლებს უფრო გვიან-გვიან იწვევდნენ და 1615 წლიდან სრულიადაც აღარ მოუწვევიათ. ახლა კი გადასწყვიტეს ხელ-ახლა მიმართონ ამ უკანასკნელ საშუალებას და მისი მოხმარებით რამენაირად ხაზინა შეავსონ, თორემ სხვა გზა არა ჰქონდათ, სესხიც კი ვერსად ეშოვნათ. გარდა ამისა მთავრობა სხვას არაფერს გამოელოდა წოდებათა წარმომადგენლებისაგან.

მაგრამ მას შემდეგ რაც უკანასკნელად წოდებათა წარმომადგენლები მოიწვიეს, საფრანგეთის შინაგან ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა: განვითარდა და აყვავდა ქალაქი, დიდრონ ქალაქების მოვაჭრეთა და მწარმოებელთა კლასმა თავიანთი ინტერესები შეიგნო, ანუ, როგორც ამ დროს ამბობდნენ საფრანგეთში, გაიზარდა მესამე წოდება.

ეს კარგად ესმოდა იმ დროის მოწინავე ინტელიგენციას და თავგამოდებით კიდევაც ამტკიცებდა პრესაში, რომ დღემდე არარად ყოფილი მესამე წოდება, დღეს ყველაფრად უნდა გადაიქცესო. ამასვე გრძნობდა მთავრობაც მაშინ, როცა მესამე წოდებას ნება მისცა ყველა წარმომადგენლების ნახევარი გამოგზავნეთ კრებაზეო. მეორე ნახევარი კი თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდების წარმომადგენელთაგან უნდა შემდგარიყო. მთელი საფრანგეთი 1214 წარმომადგენელს გზავნიდა კრებაზე. ამათგან ექვსასზე მეტი მესამე წოდებას უნდა გაეგზავნა. იმ მესამე წოდებას, ე. ი. ვაჭარ მრეწველთა კლასის შეძლებულ ნაწილს, რომლის ინტერესები იმ დროს არაფრით განსხვავდებოდა საფრანგეთის ხალხის უმრავლესობის ინტერესებიდან. მესამე წოდების დელეგატები თითქმის ყველა მომხრე აღმოჩნდა რეფორმებისა. ამომრჩეველთაგან მათ მიიღეს ეგრედ წოდებული ,,კაშიერს'' (რვეულები), რომლებშიაც მათი სურვილი და თხოვნები იყო აღნიშნული. რეფორმების მომხრე აღმოჩნდა აგრედვე სასულიერო წოდების ერთი შეუძლო ნაწილი, რომელიც ახლოს იდგა ხალხთან, მის ჭირსა და ლხინს იზიარებდა და შედარებით გაჭირვებულად ცხოვრობდა. თავად-აზნაურთა შორის ძლიერ ცოტა იყო რეფორმების მომხრე. კრების დაწყებისას, მეფემ და მისმა პირველმა მინისტრმა ნეკერმა სიტყვები წარმოსთქვეს. მაგრამ არც ერთს მათგანს არ ესმოდა შეკრებილ დეპუტატთა გულის თქმა, არც ერთი მათგანი არ გრძნობდა მომავალ უბედურებას.

თანახმად ძველის ჩვეულებისა, თითოეულ წოდებას სათათბიროდ ცალკე ოთახები მიუჩინეს. მესამე წოდებას, როგორც ყველაზე მრავალ რიცხოვანს, დაუცალეს საერთო სხდომების დარბაზი, სადაც კრების დაწყება იდღესასწაულეს. მესამე წოდებამ ისარგებლა ამით: მოიწვია სხვა წოდებათა წარმომადგენლები რწმუნებულთა ერთად განსახილველად, მაგრამ ამათ უკუაგდეს ეს წინადადება და მოწვევაზე უარი განაცხადეს. გამართეს მოლაპარაკება, მაგრამ ვერავითარ სასურველ დასკვნას ვერ დაადგინეს. ხალხი კი მოუთმენლად ელოდა მათგან მათ მინდობილობის განხორციელებას. ბოლოს, როგორც იყო, მესამე წოდების დეპუტატთაგან გამოჩნდნენ გამბედავნი, რომელთაც გადასწყვიტეს, რომ ერთად ერთი ძალა ხალხშია და ზედმეტი ცდა მხოლოდ დაჰღუპავს მესამე წოდებასაო. და აი, 17 ივნის, გაბედული ნაბიჯი კიდეც გადადგეს: საერთო დარბაზში შეკრებილმა დეპუტატებმა, ე. ი. მესამე წოდების წარმომადგენლებმა **საერო კრების** სახელი დაირქვეს და მით თავისი თავი მთელ საფრანგეთის ერის წარმომადგენლად გამოაცხადეს. მართლაც რომ ასე იყო: მესამე წოდების დეპუტატებს ზურგს უმაგრებდა საფრანგეთის მშრომელი ხალხი. ძალაც მათ ხელში იყო! თავად-აზნაურები და სასულიერო წოდება უმცირესობა იყო. ისინი მარტო სხვის ოფლით სუქდებოდნენ.

იმავე კრებაზე, 17 ივნისს, დაადგინეს, რომ სახელმწიფო ხარკის აკრეფის საქმეს გადასწყვეტს მხოლოდ **საერო კრება.** ხარკის აკრეფის თავდებია თვით საფრანგეთის ხალხი, მხოლოდ იმ დრომდე, სანამ **საერო კრების** რეფორმებს მთავრობა წინ არ აღუდგებაო.

თავის მხნეობითა და გამბედაობით მესამე წოდების დეპუტატებმა მთელი ხალხის სიყვარული დაიმსახურეს. სხვა წოდებათა დეპუტატებმა, რომელნიც რჩევაში იყვნენ, გადასწყვიტეს **საერო კრებას** მიემხრობოდნენ: ასე მოიქცა, მაგალითად, სასულიერო წოდების დეპუტატთა უმრავლესობა.

სასახლის პარტია შეეცადა ასეთი შეერთება ჩაეშალა. კრება დროებით დახურეს იმ მიზეზით, რომ დარბაზს შეკეთება ეჭირვება,—ახლო მომავალში სამი წოდების დეპუტატთა კრება მოხდება, რომელსაც თვით მეფეო დაესწრებაო.

სასახლის ობერ-ცერემონმეისტერმა აუწყა ეს გადაწყვეტილება **საერო კრების** თავმჯდომარეს **ბაიის.** მაგრამ **ბაიიმ** მიუგო, ჯერ მეფის ბრძანება არ მიმიღიაო, ობერ-ცერემონმეისტრის განცხადებას კი ყურადღებას არ ვაქცევო. შემდეგი სხდომა **ბაიიმ** 21 ივნისისათვის დანიშნა. შეიკრიბნენ დეპუტატები, 21 ივნისს, მაგრამ დარბაზის კარები დაკეტილი დახვდათ, თვით შენობას ჯარი იცავდა და ბრძანებისამებრს შიგ არავის უშვებდა.

ასეთმა გარემოებამ დეპუტატებს ენერგია გაუორკეცა. იმათ გასწიეს ქალაქის შენობისაკენ, რომელიც ბურთის სათამაშოდ იყო დანიშნული. აქ ყველაზე დიდს დარბაზში, სადაც სხვადასხვა გასართობები იმართებოდა ხოლმე, მოიყარეს თავი მესამე წოდების დეპუტატებმა. ყველა აღშფოთა მთავრობის ასეთმა საქციელმა, აღგზნებულის სიტყვებით ყველა პროტესტს უცხადებდა მას, წარმომადგენლების ასეთ შეურაცხყოფისათვის. ვიღაცამ წამოიძახა: „ჩავიდეთ პარიზში და იქაურ ხალხს მივენდოთ თავის დასაცველადაო". მაგრამ, ამ დროს, წამოდგა ერთი დეპუტატთაგანი—**მუნიე** და მოითხოვა: ფეხსაც ნუ მოვიცვლით ადგილიდან, შევფიცოთ ერთმანეთს, რომ არ დავიშლებით, სანამ არ შემოვიღებთ იმ სასურველ კონსტიტუციას, რომელსაც საფრანგეთის ხალხი ასე მოუთმენლად მოელისო. კრებამ დიდის აღფრთოვანებით მიიღო ეს წინადადება. **ბაიი** შედგა სკამზე და ხმა-მაღლა წაიკითხა შემდეგი ფიცის პირი: „ამიერიდან ჩვენ ვფიცავთ, რომ არ დავიშლებით, არამედ შევიკრიბებით ყოველგან, სადაც კი შესაძლო იქნება, სანამ არ შემუშავდება და მკვიდრს ნიადაგზე არ დამყარდება სახელმწიფო კონსტიტუციაო".

,,ვფიცავთ!'' იგრიალეს დეპუტატებმა. ქუჩაში მყოფმა ხალხმა, ამ ფიცის გაგონებაზე, ერთხმად დასძახა: ,,გაუმარჯოს **საერო კრებას!''**-ო. ასეთმა ფიცმა ხალხის თვალში ნდობა და **საერო კრებისადმი** სიმპატია ერთი-ორად გააძლიერა. მეორე დღეს ხალხი წმ. ლუის ტაძარში შეიკრიბა. აქ საერო კრებას სასულიერო წოდების 149 დეპუტატი შემოუერთდა. ასე იზრდებოდა და ძლიერდებოდა საერო კრების ძალა და მნიშვნელობა.

როგორც იყო, ხალხი ელირსა დაპირებულ საერთო კრებას. 23 ივნისს მეფის თანადასწრებით კრება დაიწყო. მეფემ დეპუტატებს სიტყვით მიმართა, რომელშიაც კიცხავდა წოდებათა შორის განხეთქილებას და, სხვათა შორის, განაცხადა, რომ მესამე წოდების ,,ეგრედ წოდებულ, საერო კრების'' დადგენილებას არავითარი მნიშვნელობა არ ექმნებაო.

მეფე ხალხს რაღაცა რეფორმებს ჰპირდებოდა, მაგრამ ისიც ისეთის კილოთი, რომ ყველასთვის ნათელი იყო, თუ რაც გამოდნებოდა ამ რეფორმებიდან. მეფემ ასეთის სიტყვებით დაასრულა თავისი სიტყვა: ,,მე თქვენ გიბრძანებთ, ბატონებო, დაიშალენით და თითოეული წოდება ცალცალკე მიჩენილ დარბაზებში ხვალ შეიკრიბოსო''.

თავად-აზნაურობა და უმაღლესი სამღვდელოება დაემორჩილა ამ ბრძანებას, ხოლო საერო კრების დეპუტატები ადგილიდან არ დაძრულან და ხმა-გაკმედილი ისხდნენ. დიდხანს არ გაგრძელებულა ეს სამარისებური სიჩუმე: ის დაარღვია საერო კრების საუკეთესო ორატორმა გრაფმა მირაბომ მირაბო თავად-აზნაურთა დეპუტატი იყო. თავად-აზნაურთა რამოდენიმე დეპუტატთან ერთად, ისიც მიემხრო საერო კრებას.

მირაბოს ლაპარაკის დროს საკრებულო დარბაზში შევიდა ობერ-ცერემონმეისტერი და თავმჯდომარეს დაეკითხა: ,,გაიგე თუ არა მეფის ბრძანებაო''. მირაბომ ხმა გააწყვეტინა. აუხსნა სასახლის მეკარეს, რომ მას კრებასთან ხელი არა აქვს, სასახლის მეკარე იძულებული შეიქმნა გაპარულიყო.

მეფეს გადასცეს მირაბოს ნათქვამი. დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა და ძლივს წაილუღლუღა: ,,რახან მესამე წოდების ბატონ დეპუტატებს არა სურთ დასცალონ დარბაზი, ისევ დარჩნენო''! —

საერო კრებაც დარჩა, დარჩა თავის საქმის დასაგვირგვინებლად. როცა სასახლის პარტია შეეცადა ძალა ეხმარა კრების დასამორჩილებლად, პარიზის ლხმაც კი ამ მზადებას საერთო აჯანყებით გასცა პასუხი, რომელიც ბასტილიის აღებით დასრულდა...

რევოლუციამ, რომლის დაწყებაც მეფეს პირველად ჰერცოგმა ლაროშფუკომ აუწყა, შეაძრწუნა იგი. 15 ივლისს, დილით, მეფემ თავის ორ ძმასთან ერთად საკრებულოსკენ გასწია.

საერო კრების სხდომები მთელ იმ საშინელ ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა. როცა კრებას აუწყეს, მეფე მოდისო, დიდი ხმაურობა ასტყდა. მაგრამ მირაბომ შეაჩერა ხალხი, მოაგონა პარიზში დანთხეული სისხლი და ურჩია მეფეს ისეთის თავდაჭერილობით შეხვედროდნენ, როგორიც მას (მეფეს) ეკადრებოდა: ,,ხალხის დუმილი მეფეთათვის გაკვეთილიაო!''-ო.

სამარისებური სიჩუმით დაუხვდნენ მეფეს. ამან დიდი შთაბეჭდილება იქონია მასზე. თავის სიტყვაში ის უკვე კანონიერად სცნობდა საერო კრებას, მე თვით ერის შვილი ვარო, ამბობდა იგი და ხმის კანკალით დაასრულა: ,,მაშ აგრე, მე ჩემს თავს თქვენ მოგანდობთ, ჩემის ხალხის არჩეულნო!''.

ამ სიტყვების გამო კრება მეფეს შეურიგდა.

არჩეულ იქმნა დეპუტაცია, რომელიც პარიზში უნდა ჩასულიყო და მცხოვრებთათვის ეუწყებინა ჯარის მოხსნა და რეაქციონერ მინისტრის გადაყენება. დეპუტაციას ხალხი დიდის აღფრთოვანებით მიეგება. მაგრამ, როცა დეპუტაციამ, სხვათა შორის, განაცხადა, მეფემ საფრანგეთის ნაციონალურ გვარდიას აპატია ბასტილიის განადგურების დროს მონაწილეობის მიღებაო—საშინელი აურზაურიასტყდა: ხალხის აზრით, გვარდიას საპატიებელი არა ჰქონდა-რა.

ოთხ აგვისტოს ღამე, 14 ივლისის, ძლევა-მოსილმა აჯანყებამ ძლიერ დიდი გავლენა იქონია მცხოვრებთა ყველა კლასებზე... ახალ წეს-წყობილების სული ყველაზე პირველად დახასებულმა თავად-აზნაურობამ იგრძნო და მო-

რებულ და სამხედრო დაცვის წესები, რადგანაც სახალხო სათათბიროს შემოღებით უკმაყოფილო არის და სარევოლუციო მოქმედებისთვის ემზადება.

რუსეთი

იაპონიაში მცხოვრები ტყვე აფიცრები სთხოვენ ,,სინ ოტეჩესტვას'' რედაქციას, გაზეთები გვაკლია და, თუ ღმერთი გწამთ, გამოგვიგზავნეთო, მხოლოდ **პროგრესიულ გაზეთებს გარდა სხვა გაზეთებს ნუ გამოგვიგზავნიან**, თორემ, სულ ერთია, არ ვკითხულობთო. აფიცრები უფრო ,,ნაშა ჟიზნს'', ,,სინ ოტეჩესტვას'', ,'რუსკია ვედომოსტის'', ,,რუსსა'' და ,,ბირჟევია ვედომოსტს'' თხოულობენ (ს. ო.)

✦ ბელგიის მემამულეებმა გერმანულ გაზეთებში **განცხადებები** დაბეჭდეს და სამსახურში იწვევენ ისეთ პირებს, რომელთაც იარაღის ხმარება იციან და საზოგადოდ ომში გამოცდილნი არიან. ამათ მიეცემათ ცხენი, იარაღი, სასმელ-საჭმელი და თვეში 30 მანეთი. მემამულეებს ესენი თავიანთ **სახლ-კარის დასაცველად უნდათ გლეხებისაგან**. მსურველი ბევრი გამოჩნდა (ს. ო.).

✦ მინსკის პოლიცმეისტერმა **შემდეგი ბრძანება გამოსცა:** ბოროტ ებრაელებს არა სწამთ კანონიერება, არ ემორჩილებიან ბრძანებას, ყოველთვის წესრიგის მტრები არიან და ტერორით უნდათ თავისი გაიტანონ. ებრაელი სახლის პატრონებიც ხელს უწყობენ ბოროტმოქმედთ და სახლებში მალავენ. გადაჭრით ვაცხადებ, რომ ის ებრაელები, რომელნიც ამასთანა ხალხს მალავენ, ისევე დაისჯებიან, როგორც აჯანყებულნი. ამიტომ ვუბრძანებ ებრაელებს, რომ საღამოს 8 საათიდან თავიანთ სადგომებისა და სახლების კარებები დაჰკეტონ და, თუ დაიჭირეს ბოროტმოქმედი, ჩემთან მოიყვანონ. ერთხელ კიდევ ვაცხადებ, რომ აჯანყებულთ არ შევიბრალებ და სასტიკად დავსჯი. ვინც ებრაელ პოლიტიკანებს არ თანაუგრძნობს, ქუჩებში ნუ შეიკრიბება და პოლიციის ყოველ ბრძანებას დაუყოვნებლივ და სიტყვის შეუბრუნებლად დაემორჩილნენ (ნ.).

✦ გენერალი რკლიცკი,, რომელმაც ვარშავაში კერძო გიმნაზიის გახსნის ნებართვა მიიღო, პოლონურ გაზეთებში აცხადებს: რადგან სწავლის დაწყობა არც ერთმა კათოლიკემ და პროტესტანტმა არ მოისურვა, ამიტომ წრეულს **გიმნაზიაში სწავლა არ დაიწყება** (ნ.).

✦ პრიამურის გენერალ-გუბერნატორმა კრეშჩატიცკიმ **,,მავნე მიმართულებისა გამო''** შეაჩერა გაზეთი ,,ნიკ. უსურ. ლისტოკი'' სამის თვით. რედაქტორ-გამომცემელმა გუბერნატორს უჩივლა, გუბერნატორს ჩემი გაზეთის შეჩერების ნება არ ჰქონდაო (რ. ვ.).

✦ სენატორ პოსტოვსკის მიენდო გამოკვლევა იმ საკითხისა, თუ რა საბუთით **გამოაცხადა პოლონეთმა პროტესტი** მინისტრთა კომიტეტის დადგენილების ·გამო პოლონეთის საქმეების შესახებ (რ. ვ.).

✦ ივანოვო-ვოზნესენსკში მუშათა არეულობის მოთავენი და მონაწილეობის მიმღებნი **სამხედრო სამართალში მისცეს** (რ. ვ.).

✦ ვილნოს გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ ის სალდათები, რომელთაც უწესოება და არეულობა მოახდინეს, **სამხედრო სამართალში იქმნან მიცემულნიო**, გუბერნატორის განცხადებიდან სჩანს, რომ სალდათებს ისეთი საქციელი ჩაუდენიათ, რისთვისაც სიკვდილით უნდა დაისაჯონო. ხოლო რა[illegible]აიდინეს სალდათებმა საამისო, ამაზე არაფერი ვიცით (ნ. ქ).

✦ კოვნოს გუბერნიაში **გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს** (ნ. ქ.).

✦ 14 აგვისტოს კიევში დიდი **დემონსტრაცია მოხდა** (ნ. ქ).

✦ 15 აგვისტოს კიევში პოლიციამ **იარაღის საწყობი** აღმოაჩინა (ნ. ქ.).

კორესპონდენცია

ს. მცხეთა (დუშეთ. მაზრა). 14 მარიამობისთვეს აქ ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა.

უკვე დიდი ხანია, აქაურები ამჩნევდნენ, რომ სოფლის მოხელეები: მამასახლისი, ნაცვალი და სხვ. ცოტა არ იყოს, „მოსე მწერალსავით“ იქცეოდნენ: ქრთამს იღებდნენ. ყველა თვალს ადევნებდა მათ და აკი, 14 მარიამობისთვეს, გლეხებს ხელში ჩაუვარდათ ერთი საუკეთესო საბუთი.

ეს ერთი წელიწადია, რაც სამი ძმა ალიბეგოვები გაიყარნენ. ერთი ამ ძმათაგანი რკინის გზის კონდუქტორია, დანარჩენნი კი უბრალო სოფლის მეხრეები. წლეულს ეს კონდუქტორი ხელმეორედ წაედავა თავის ძმებს ადგილ-მამულზე, მოიწვია დუშეთიდან გამომძიებელი. მაგრამ გამომძიებელმა მათი აბლარიულ-ჩახლართული საქმე ვერ გაარჩია და უთხრა; ისევ სოფელს მიჰმართე, ის უფრო დაწვრილებით გამოიკვლევს საქმესაო. კონდუქტორმა ალიბეგოვმა დაჰპატიჟა აქაური „მოხელეები“ და კარგად დაამძღო. ხოლო პატარა ძმას, უბრალო გლეხს, ვერ ეშოვა კაცი და დაღონებული იდგა კანცელარიასთან. მივიდა მოქრთამული მამასახლისი და ჰკითხა: „ვერ იშოვე კაციო?“ როდესაც უარი მიიღო; მამასახლისმა ფეხები დაუბრაგუნა და დაუყვირა: „შენ გაყრა არ გინდა და იმიტომ არ დაეძებ კაცსაო!“ და აქვე ,,სამსახტში'' დაამწყვდევინა. შემდეგ კი გაეშურა დუქნისაკენ, სადაც უკვე სუფრა მზად იყო. გაჩაღდა ღვინის სმა.

სოფელმა გაიგო ეს ამბავი და კანცელარიასთან შეიკრიბა. აქვე იყვნენ აქაური ინტელიგენტებიც. სოფელმა გაარჩია ეს საქმე, გამოაშვებინა უდანაშაულოდ დატუსაღებული. აქედან გაეშურა დუქნისაკენ, სადაც „მოხელეები“ და კონდუქტორი ალიბეგოვი ქეიფობდნენ. ჯერ საჯაროდ შეარცხვინეს მამასახლისი. შემდეგ გამოიყვანეს ალიბეგოვი, ჩამოატარეს სოფელ-სოფელ და აძახებდნენ: „მამასახლისი დავპატიჟე! ძმის მოღალატე ვარ! უსინდისო ვარ“!.. ბოლოს ბოლოში მოიხადა საჯაროდ და განთავისუფლებულ იქმნა.

აი, ასე მარტივად არჩევს ახალი სასამართლო სოფლის საქმეებს მას შემდეგ, რაც „ერთობა“ ჩამოვარდა... მოხუცი გლეხები ლოცავენ ახალგაზრდათ, რომ იგინი ასეთს მხნეობას და გულმოდგინებას იჩენენ და სოფლის საქმეებს განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებენ...

გ. მცხეთელი.

შუა ქართლი, 19 აგვისტო. შავი რაზმელები ესხმიან თავს ვისზედაც კი ეჭვი აქვთ მიტანილი და აწიოკებენ.

16 ამ თვეს, სოფელ ქვემო ნიქოზში, ღამის ორ საათზე, თავს დაეცნენ ერთ ოჯახს, სადაც „მავნე“ პირი ეგულებოდათ. საბედნიეროდ, ვისაც ეძებდნენ, შინ არ დაუხვდა და სტუმრად მისული ფ. ლაშხი თავის მეუღლით შერჩათ ხელში. გამხეცებული რაზმელები შეცვივდნენ, სულ მილეწ-მოლეწეს რაც ხელთ მოხვდათ, წაგლიჯეს ლაშხის ცოლს ოქროს საათი, და რაც კი ხელთ საყრელი იყო, მათთვის თან წაიღეს. ამავე ღამეს, 4 საათზე, თავს დაეცნენ ზემო-ნიქოზში ტ. კორაშვილის სახლს. იმათდა საუბედუროდ, არც იქ დაუხვდათ ის, ვისაც ეძებდნენ, მხოლოდ იმის ძმას ძალზე სცემეს, წაიღეს ოთხი ოქროს ბეჭედი, სამაჯური, ვერცხლის ქამარი, უნაგირის სამკაულები, ქალების კაბები (ალბათ მათ ცოლებს ლილახანა გაბუნებიათ) და ორი სარკე.

ამავე ღამეს დვანის მახლობლად დაეცნენ ერთის ოსის ოჯახს, დააწიოკეს ქალები და თან წაიღეს სამი ჩახმახიანი თოფი და ქალების საცვლები. ასე, ამგვარად დათარეშობენ ჩვენი რაინდები და აწიოკებენ გლეხობის ოჯახებს. ამაზე მეტად გამწვავებულია გლეხობა.

ცხინვალში ეგზეკუციას ჯერჯერობით არა ხსნიან. როგორც გავიგე, ცხინვალის არა-მკითხე მოანბენი დეპუტატებს გზავნიან გენ. ამილახორთან: მოგვხსენით ეგზეკუცია, ცხინვალელები დამნაშავენი არაფერში ვართო. ვნახოთ, შემდეგი რას მოგვიტანს.

ქარ-ცეცხლი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! „ივერიის“ გუშინ-წინდელ (კვირის) ნომერში მოთავსებულია ახალი ამბავი, ვითომც 19 ამ თვეს ქალაქის სამღვდელოებას კრება ჰქონებოდეს საეკლესიო მუზეუმში და მე ამოვერჩიეთ იმ კომისიის წევრად, რომელმაც საეკლესიო სკოლებისათვის ახალი სასწავლო გეგმა უნდა შემუშაოს.

რადგან საქმე პირადად მეც შემეხება, გთხოვთ შემდეგს სტრიქონებს თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ. როგორც შევიტყვე, 19 ამ თვეს საეკლესიო მუზეუმში სამღვდელოებას არავითარი „კრება“ არ ჰქონებია, შემთხვევით ყოფილიყო მუზეუმში რამოდენიმე სასულიერო პირი, რომელთაც გამოუთქვამთ სურვილი: თუ ვინიცობაა ექსარხოსმა წინადადება მოგვცა ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ, არ იქნება ურიგო ამ საქმისთვის წინდაწინვე ვიქმნეთ მომზადებული, რომ ჩვენის მხრით უსიტყვოდ არ დავრჩეთო. ამ მიზნით დავუსახელებივართ სამა პირი, რომელნიც „ივერიაში“ ვიყავით მოხსენებული ვითომ „კომისიის“ წევრებად. მე იმ დროის „კრებაზე“ არ ვყოფილვარ და, რადგან არ ვიცოდი, თუ რა საქმეს გვანდობენ ჩვენ, ამიტომ, როცა მითხოვეს მეორე დღეს მუზეუმში ჩავსულიყავ, მე ეს თხოვნა ავასრულე. იქ აღმოჩნდა, რომ მე დავებარებინეთ აღნიშნული საგნის შესახებ ჩემი მოსაზრებანი გამომეთქვა, მე ეს ავასრულე და იქ დამსწრეებს პირდაპირ გამოვუცხადე, და ახლაც ვაცხადებ რომ მე პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ „საეკლესიო სკოლებისა“, წინააღმდეგი ვარ აგრეთვე იმისაც, რომ ასე კერძოდ, კაბინეტურ-ბიუროკრატიულად შემუშავებულ სასწავლო გეგმას რაიმე სავალდებულო მნიშვნელობა ექნეს მიცემული, რომ ამ საქმისთვის საჭიროა თვითონ ხალხის-მიერ ამორჩეული პირები და არა შემთხვევით შეკრებილი რამოდენიმე სასულიერო პირი გინდ ქალაქის სამღვდელოება.

ასეთია ჩემი შეხედულება სახალხო სკოლების შესახებ და, ამიტომ, ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნია ვიტვირთო ის საქმე, რომელიც ჩემთვის თქვენს რეპორტიორს მიუწერია.

მასწავლებელი ტფილისის კერძო ქართული გიმნაზიისა

ს. რ. გორგაძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

23 აგვისტო.

მოსკოვი, 22 აგვისტო. უნივერსიტეტში 31 აგვისტოს გადახდილ იქმნება პარაკლისი, 1 სეკტემბერს სწავლა დაიწყება. ომის საჭიროებისთვის მოსკოვმა მილიონ მანათზე მეტი დახარჯა.

კიევი, 22 აგვისტო. უნივერსიტეტში მიიღეს 701 კაცი მათ შორის 69 ებრაელი. საზოგადოდ ათას კაცზე მეტს იღებდნენ.

რომი, 22 აგვისტო. ტოკიოიდან მოსული „ტრიბუნის“ დეპეშა ამტკიცებს, რომ ზავის პირობებს იაპონიაში ცუდის თვალით შეხედეს. ცნობას იმის შესახებ, ვითომ იაპონიაში რევოლუცია დაწყებულიყვეს, დეპეშა უარს ჰყოფს. კაბელი იაპონიის ზღვაში ძლიერმა ტაიფუნმა გასწყვიტა.

პარიზი, 22 აგვისტო, ,,ტროკადეროს''-ში შესდგა თავისუფალ-მოაზროვნეთა საერთაშორისო კრება. კრებას დაესწრო მთელი ევროპისა, ამერიკისა და არგენტინის 3,000 წარმომადგენელი. ბერლენ დინო ამტკიცებდა: აღმოსავლეთში ჩამოვარდნილი მშვიდობიანობა ამერიკის დემოკრატიის ზნეობრივ გავლენის ქვეშ მოხდაო. ის აქებდა საფრანგეთს, რომ იმან ეკლესია სახელმწიფოს დააშორა.

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. ,,დეილი ბიულეტენ''-ში დაბეჭდილია ფილიპინის კუნძულების უფროსის გენერალ კერბინის წერილი, რომელშიაც ის ამტკიცებს, მანილა რამდენიმე წლის შემდეგ მთელი შორეულ-აღმოსავლეთის სავაჭრო ცენტრი გახდებაო.

პორტსმუტი, 22 აგვისტო. ზავის ხელშეკრულობას ხვალ, შუადღის სამ საათზე, მოაწერენ ხელს

პარიზი, 22 აგვისტო. დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკობენ; არავითარი ცნობა არ მოსულა იმის შესახებ, ვითომ იაპონიაში სარევოლუციო მოძრაობა დაწყებულიყვესო.

სტამბოლი, 22 აგვისტო. ტახტზე ასვლის დღეს სულთანმა მიიღო ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელნი და სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქს უთხრა: რამდენიმე სომეხ ბოროტმოქმედთა გულისთვის მე სომხის ხალხს ჩემს მზრუნველობას არ მოვაკლებო.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობებით სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებას აპირებენ. სამსახური იქმნება ორი წელიწადი, ხოლო რვა წლით სათადარიგო ჯარში ჩაირიცხებიან. განზრახულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჯარში წერა-კითხვის გავრცელებას.

პორტსმუტი, 22 აგვისტო. ხელშეკრულობაზე ჯერ ხელი არ მოუწერიათ. იაპონელების სია მზადაა. რუსებისა კი ჯერ მზად არ არის. სიის შედგენა იმიტომ დაგვიანდა, რომ საიდუმლოების დასაცველად, რწმუნებულთა მდივნები თვითონ სწერდნენ.

პორტსმუტი, 22 აგვისტო. ხელშეკრულობაში შეტანილ დამატებითი მუხლში ნათქვამია, რომ ხელის მოწერის შემდეგ დროებით ზავი ჩამოვარდება, რომლის შემდეგ ლაშქარი თავ-თავის ალაგას უნდა შეჩერდნენ. მხოლოდ ხელშეკრულობის დამტკიცების შემდეგ დაბრუნდებიან ტყვეები სამშობლოში. ხელშეკრულობის შინაარსი რწმუნებულთ თავ-თავის იმპერატორებს დეპეშით აცნობეს.

მავალ უბედურების თავიდან ასაცილებლად სამშობლოდან გაიპარა. „ბრწყინვალე წოდებათა“ უმრავლესობა საფრანგეთიდან საზღვარ გარედ გაიხიზნა და იქ შეუდგა ახალ წესების წინააღმდეგ შეთქმულების შედგენას. სასახლეში დარჩენილი მომავალს გულის ფანცქალით მოელოდნენ. მეფე დედოფლითურთ იმ აზრისა იყვნენ, რომ საერო კრებამ, რაც უნდა ის ჩაიდინოს, ხოლო, როცა შემთხვევა ხელს შეუწყობს, მოსპონ ყოველივე მათი ნამუშავარი.

საერო კრება კონსტიტუციის შემუშავებას შეუდგა. ხოლო მას წინ წარუმძღვარა „ადამიანის და მოქალაქეთა დეკლარაცია“. სინამ კრება ამ უფლებებზე თათბირობდა, პარიზში ერთი მეორეზე უფრო შემაძრწუნებელი ამბები მიდიოდა.

14 ივლისმა დიდად აალელვა მთელი საფრანგეთი. ყველა ქალაქებმა პარიზს მიჰბაძეს. ჩვენც ისეთივე სამოქალაქო გამგეობა, ისეთივე ნაციონალური გვარდია გვსურს, როგორიც პარიზმა მიიღო ბასტილიის აღების შემდეგო. მაგრამ ყველაზე მეტი მღელვარება სოფლებს დაეტყო. ბასტილიის დამხობა თავიანთ მონობის და ცვლეფის დამხობად დასახეს. მღელვარება თანდათან გაიზარდა, მთელს მხარეს მოედო და გლეხები მემამულეთა წინააღმდეგ აამხედრა.

სასტიკი ჯავრი იყარეს გლეხებმა ასის წლის მონობისთვის გაბატონებულ კლასებზე. ციხე-სიმაგრეები, სასახლეები ერთი-მეორეზე ინგრეოდა. ასეთივე ბედი ეწია მონასტრებს და სამღვდელოების სახლებს. სამი კვირის განმავლობაში ცა წითლად იღებებოდა ცეცხლის ალმურით: სად ციხე-სიმაგრეები და სად მონასტები იბუგებოდნენ, გლეხების მიერ ცეცხლწაკიდებულნი. ფრანშ-კონტეს პროვინციაში, მაგალითად, თითქმის ყოველ ღამე ნადგურდებოდა თითო-ოროლა ციხე, ან მონასტერი; მეორე პროვინციაში, დოფინეში, 14 დღის განმავლობაში, 270 ციხე-სიმაგრე გადაიბუგა. ყველაზე საზიზღარ პირებს ხალხი სიკვდილით სჯიდა ხოლმე.

საერო კრება დარწმუნდა, რომ ასეთს მოძრაობას მხოლოდ მისი საქმეში ჩარევა შეაჩერებდა. ჯერ დიდხანს სჯიდნენ კანონების სხვადასხვა სტატიებზე მემამულეთა უფლების მოსპობის შესახებ. მაგრამ, რაც უფრო იზრდებოდა გლეხთა მღელვარება, იზრდებოდა თავად-აზნაურთა შიში, იზრდებოდა საერო კრების ენერგია. და აი, 4 აგვისტოს, საღამოს სხდომაზე, ყველა დეპუტატები დიდმა აღფრთოვანებამ შეიპყრო. ყველაზე საუცხოვო სიტყვა წარმოსთქვა ერთმა არისტოკრატთაგანმა ვიკონტ-დე-ნოაიმ, რომელმაც მჭევრმეტყველურად დაამტკიცა, რომ ახლა აღარა ითქმისა რა გლეხების იარაღით დაჩუმებაზე: საჭიროა მოვსპოთ ის უსამართლობანი, რომლებმაც გლეხები აჯანყებამდის მიიყვანაო. ის ურჩევს კრებას, მემამულეებს მოუსპონ ყოველივე უფლება; მოისპოს აგრეთვე ყოველივე ხარჯი, რომელიც გლეხკაცობას მძიმე უღლად იწევს კისერზე. ამასთანავე ისიც განაცხადა, რომ, როგორც თვითონ, ისე მისი ამომრჩევლები უარს ამბობენ თავიანთ სამამულო უფლებებზეო. შემდეგ წამოდგა მეორე აზნაური ლეგიუენდე კერენგალი და სავსებით დაახასიათა ბატონ-ყმობის მავნე მხარეები და კრებას ურჩია მისი მოსპობა. მთელი საერო კრება აღტაცებაში მოვიდა, ყველა უარს აცხადებს თავის უპირატესობაზე: შუაღამემდე ყველა ძველი უფლებანი და უპირატესობანი გააუქმეს. თავადაზნაურებმა უარჰყვეს თავიანთი ღალა, სამღვდელოებამ—მეათედი და ქალაქებმა—ცეხები. ამდროს გლეხების მხოლოდ უმცირესი ნაწილი იმყოფებოდა ბატონ-ყმობაში (მილიონ ნახევარი, 21 მილიონიდან). დანარჩენი კი მიწას იღებდნენ მემამულისგან და უმოწყალო ღალას იხდიდნენ. გარდა ამისა, მემამულე მსაჯულიც იყო გლეხკაცისა, მათ პოლიციური უფლებაც ჰქონდათ ხელში, თავიანთ გლეხების ადგილებში მათ თავისუფლად შეეძლოთ ნადირობა და არც პასუხს აგებდნენ, თუ რაიმე გაფუჭდებოდა გლეხების ადგილში. სამღვდელოების სასარგებლოდ მეათედს იხდიდნენ მთელის შემოსავლისას. თავად-აზნაურობა და სამღვდელოება გროშსაც არ იხდიდა სახელმწიფოს სასარგებლოდ, ქალაქებში მთელი ხელობა დაყოფილი იყო ცეხებად, ცეხებში მომუშავე ხელოსანთა რიცხვი განსაზღვრული იყო, ახალი ცეხის დაარსება არავის შეეძლო. ყველა ეს უპირატესობანი მოსპო ოთხ აგვისტოს საღამოს კრებამ.

საერო კრებამ ტაშის გრიალით ჩაჰყარა ყველა მოქალაქეთათვის პოლიტიკური თანასწორობის საძირკველი. ის, რის გაკეთებასაც ჩვეულებრივ დროს თვეები და წლები მოუნდებოდა, ამ რევოლუციონურ დღეებში ერთ ღამეს გადასწყდა. თუმცა ღამე განათებული იყო მოლუზღუზე ცეცხლის ალით.

მ. მაკ—თელი.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი**.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ' № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ).

განცხადებანი

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

დაარსდა ახალი საწყობი კახურის ღვინისა
შემდეგის ფირმით:
კახეთის მევენახეთა ამხანაგობა
„ძმობა“
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა.
ტელეფონი № 1036.

ԲԱՑՈՒԱԾ Է ԲԱԺԱՆՈՐԴԱԳՐՈՒԹԻՒՆ
„ԱՐՇԱԼՈՅՍ"
գրական, հասարակական, քաղաքական, տնտեսագիտական պատկերազարդ օրաթերթի,
որ լոյս է տեսնելու օգոստոս ամսի վերջերից՝ ռուսաց «Русскія Вѣдомости» օրաթերթի մեծութեամբ (տարեկան բաժանորդագինը 7 ռ.)։

«Արշալոյսի» նպատակն է լինելու ընթերցանութեան թարմ և օգտակար նիւթ մատակարարել հայ ընթերցողներին՝ արծարծելով առաջադիմական լուսաւոր գաղափարներ, բացատրելով ընթացիկ կեանքի երևոյթները, հասարակական պէս-պէս հոսանքներն ու հրատապ հարցերը և այդ բոլորի միջոցով նպաստել հայ ազգի զարգացմանն ու քաղաքակրթութեանը։ Աշխատակցելու հրաւիրուած են յայտնի հեղինակներ ու մասնագէտներ։ Բացի դրանից խմբագրութիւնը լայն ասպարէզ է բանալու հայ երիտասարդութեան առաջ, առանձնապէս աշխատելով տեղ տալ թարմ ու օգտակար ույժերին և զարգացնելով գրական աշխատանքի վարձատրութեան սկզբունքը։

«Արշալոյսն» ունենալու է հետևեալ բաժինները.

1. ԿԱՌԱՎԱՐՉԱԿԱՆ ԿԱՐԳԱԴՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ. 2. ԱՌԱՋՆՈՐԴՈՂՆԵՐ. 3. ՀԵՌԱԳԻՐՆԵՐ—(Գործակալութեան և սեփական). 4. I. ՆԵՐՔԻՆ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Ներքին լուրեր և բ. Փոքրիկ յօդուածներ ընթացիկ հարցերի մասին։ II. ԱՐՏԱՔԻՆ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Յօդուածներ արտասահմանեան խոշոր դէպքերի մասին. բ. Թղթակցութիւններ արտասահմանից. գ. Քաղաքական լուրեր. դ. ՀԱՅԿԱԿԱՆ ԿԵԱՆՔԻ ՇՈՒՐՋԸ.—Տեղեկութիւններ արտասահմանեան հայկական կեանքից. քաղուածքներ արտասահմանեան հայ թերթերից, հարկաւոր դէպքերում խմբագրական բացատրութիւններով ու նկատողութիւններով։ III. ԿՈՎԿԱՍԵԱՆ ՔՐՈՆԻԿՈՆ.—ա. Յօդուածներ զուտ գաւառական կեանքի տնտեսական, կրթական և այլ ընթացիկ կարիքների մասին. Թղթակցութիւններ և լուրեր. բ. ԹԱՏՐՈՆ ԵՒ ԵՐԱԺՇՏՈՒԹԻՒՆ.—Ամփոփ տեսութիւններ թէ տեղական (հայ և օտար) և թէ գաւառական ներկայացումների, համերգների ու հանդէսների մասին։ 5. ՏԵՂԱԿԱՆ ԿԵԱՆՔԸ.—Լուրեր, տեղեկութիւններ ու յօդուածներ Թիֆլիզի կեանքից։ 6. ԸՆԿԵՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ ԵՒ ՀԻՄՆԱՐԿՈՒԹԻՒՆՆԵՐ.—ա. Հաշիւներ ու տեղեկութիւններ գիտական, դատաստանական, առևտրական-արդիւնաբերական և հասարակական հիմնարկութիւնների մասին. բ. ԳԻՏԱԿԱՆ ՆՈՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ.—Ինքնուրոյն տեղեկութիւններ և թարգմանական քաղուածքներ օտար մամուլից։ 7. ՄԱՄՈՒԼԻ ՏԵՍՈՒԹԻՒՆ ԵՒ ՔՆՆԴԱՏՈՒԹԻՒՆ.—ա. Քաղուածքներ հայ և օտար մամուլից խմբագրական բացատրութիւններով ու նկատողութիւններով. բ. Քննադատական յօդուածներ. 8. ԹՂԹԱԿՑՈՒԹԻՒՆՆԵՐ։ 9. ՄԱՏԵՆԱԽՕՍՈՒԹԻՒՆ.—ա. Րեցէնզիաներ հայերէն լեզուով լոյս տեսած գրքերի մասին. բ. Ամփոփ տեղեկութիւններ օտար լեզուներով լոյս տեսած գրքերի մասին, մանաւանդ հայերին, նրանց դրացիներին և մերձաւոր աշխարհին վերաբերեալ. գ. Խմբագրատանն ստացուած գրքերի ցուցակը։ 10—11 ԲԱՆԱՍԻՐԱԿԱՆ.—ա. Ինքնուրոյն և թարգմանական վէպեր, մանրավէպեր, բանաստեղծութիւններ ու պատկերներ. բ. Սօցիալական-տնտեսագիտական ամփոփ յօդուածներ ու տեսութիւններ. գ. Գրական և գիտական տեսութիւններ. դ. Բժշկական և առողջապահական յօդուածներ. ե. Երգիծաբանական գրուածքներ։ ԱՐԴԻՒՆԱԳՈՐԾՈՒԹԻՒՆ ԵՒ ՎԱՃԱՌԱԿԱՆՈՒԹԻՒՆ.—Տեսութիւններ և տեղեկութիւններ արդիւնագործութեան և վաճառականութեան մասին։ Աշխատաւոր դասակարգի կեանքն ու կարիքները։ 12. ՏԵՂԵԿԱՏՈՒ.—ա. Մուրհակներ և բորսա. բ. Օրացոյց. գ. Այսօր (տեղեկութիւններ ժողովների, հանդէսների և ներկայացումների մասին). դ. Ճանապարհորդութիւն. (տեղեկ. երկաթուղիների և նաւերի մասին)։ ԽՈՐՀՐԴԱՏՈՒ.—Խորհուրդներ և պատասխաններ ընթերցողների առաջարկած իրաւաբանական, բժշկական հարցերին։ ՆԱՄԱԿՆԵՐ ԽՄԲԱԳՐՈՒԹԵԱՆ. ԳՈՒՍԱՐԿՂ։ 13. ՅԱՅՏԱՐԱՐՈՒԹԻՒՆՆԵՐ։ 14. ՊԱՏԿԵՐՆԵՐ։

Յօդուածներ կարելի է ուղարկել այժմեանից։

Բաժանորդագրութեան պայմաններ.

Թիֆլիզի և Ռուսաստանի համար՝
4 ամիսը (սեպ.—յուն.) 2 ռ. 50 կոպ.
3 » 2 »
2 » 1 » 50 »
1 » » » 75 »

Արտասահմանի համար՝
4 ամիսը 4 ռ.=9 մարկ
=11 ֆրանկ=9 շիլինգ
=2 դոլլար։

Խմբագիր-Հրատարակիչ՝ Գ. Մելիք-Կարագեօզեան

Առաջիկայ սեպտեմբեր ամսից Գ. Մելիք-Կարագեօզեանի հրատարակութեամբ սկսելու է լոյս տեսնել նաև «Кавказскій Вѣстникъ» ռուսերէն ամսագիրը, որի նպատակն է լինելու՝ նպաստել Կովկասի զանազան ազգութիւնների փոխադարձ մերձեցմանը, նրանց համախմբել ընդհանուր քաղաքակրթական շահերի շուրջը և միևնոյն ժամանակ ռուս հասարակութեան առաջ պատկերացնել Կովկասի ընթացիկ կեանքն ու կարիքները։

Այդ նպատակով արդէն որոշ համաձայնութիւն է կայացել վրաց առաջադիմական «Ցնոբիս Փուրցելի» լրագրի խմբագրութեան հետ։

«Кавк. Вѣст.»-ի բաժանորդագինն է 4 ամիսը (սեպ.—յունուար) 3 ռուբ.

«Արշալոյս» և «Кавк. Вѣст.» միասին ստացողները պէտք է վճարեն Ռուսաստանում 4 ամիսը—3 ռ. 75 կոպ.։ Արտասահմանում 6 ր. Բաժանորդ գրուել կարելի է խմբագրատանը (Թիֆլիզ, Գոլովինսկայա փող. № 11). օտար քաղաքներից պէտք է դիմել. Тифлисъ, Редакція газеты «Аршалуйсъ» կամ Tiflis, Rédaction du Journal «Arschalouis».

«Արշալոյսի» գործակալներն են.

Ալէքսանդրապոլում—Ա. Խըմալեան, Երևանում—«Արարատ» գրավաճառանոցը, Կարսի օբլաստում—Հ. Տէր-Խաչատրեան, Նախիջևանում—Խ. ք. Խանզադեան և Վ. Առաքելեան, ս. Էջմիածնում—Գ. Ղազարեան, Բաքւում—Ե. Փիլոյեան, Բաթումում—«Сотрудникъ» գրավաճառանոցը, Ելիզ. շրջանում—Ա. Ցակոբեան, Մոզդոկում—Ե. ք. Խաչմանեան։ Սեւաստոպոլում—Ս. ք. Տէր-Յովհաննիսեան. Հայաբնակ միւս կենտրոններում էլ շուտով կը հաստատուեն յատուկ գործակալութիւններ։

Дозволено цензурою, Тифлисъ, 23 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5